ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 15 იანვარი, 2018 №11 (7556) ფასი: 50 თეთრი

ბიტკოინის ციებ-ცხელება საქართველოში

გვ.6

9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„მარგველაშვილი ჭკვიანი ადამიანი გამოდგა, მაგრამ მის ხელახალ გაპრეზიდენტებას არ დავუშვებთ“

გვ.3

ლადო სადღობელაშვილი: „ქართული ოცნების“ წევრები სააკაშვილს საქართველოში რევოლუციის გამართვაში ეხმარებიან“

„ირაკლი კობახიძე 17.000 ლარს აიღებს ხელფასს“

შალვა ხაჭაპურიძე: „კეზერაშვილი იმ მოსამართლემ გაამართლა, რომელიც ოთო აბესაძეს აღკვეთის ღონისძიებას არ უცვლის“

გვ.7

ცხინვალის ხელისუფლება სერბეთის პატრიარქმა მიიღო

გვ.5

სამართალი

გვ.7

„ტორიაშვილი შეეცადა, კარისკენ წასულიყო, მაგრამ ქისტაურმა კიდევ ერთი ტყვია ესროლა, შემდეგ ყელი გამოსჭრა“ — 19 წლის ბიჭის სასტიკი მკვლელობის უცნობი დეტალები

სასამართლომ 9 თვის ორსული ცოლის ცემისთვის მამაკაცს 10 თვე მიუსაჯა

ყოფილი ქმრის მიერ დაჭრილი ქალის მდგომარეობა მძიმეა

სახელმწიფო დეპარტამენტი მუხთარლის გათავისუფლებას მოითხოვს

გვ.5

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სერიოზულად უნდა მოემზადოს“

გვ.2

ISSN 1987-9385

2 კახა კალაძე: „თბილისის მერიის მაღალჩინოსნების ხელფასები არ გაორმაგებულა“

4 ათონის მთაზე, გრიგორიუსის მონასტერში, ქართველი მღვდელმონაზონი, ბერი ილარიონი (კახა მეგრელიშვილი) აკურთხეს

2 დაადებს თუ არა პრეზიდენტი „მაუწყებლობის შესახებ“ კანონპროექტს ვეტოს, დღეს გახდება ცნობილი

11 ნიკოლოზ წულუკიძე სიკვდილს გადაურჩა

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სერიოზულად უნდა მოემზადოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის შანსებზე საუბრობს.



„ალეკო ელისაშვილი ძალიან ჩქარობს“

– ბატონო ვახტანგ, კონსტიტუციის ახალი რედაქციით პრეზიდენტი ცერემონიალური ფიგურა ხდება. მიუხედავად ამისა, რამდენად ელოდებით მწვავე პოლიტიკურ დაპირისპირებას საპრეზიდენტო არჩევნებზე?

– მართალი ბრძანდებით, კონსტიტუციის ახალი რედაქცია ძალაში შედის და პრეზიდენტის უფლებამოსილებები კიდევ უფრო იზღუდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის პოსტი მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. არ არის გამორიცხული, რომ ეს პოსტი გახდეს სტრატეგიული მნიშვნელობის თუნდაც მომავალი პოლიტიკური ასპარეზისთვის. ამიტომ ყველა კანდიდატი ეცდება, ეს არჩევნები კარგად გამოიყენოს.საკმაოდ მძაფრი ბრძოლა იქნება.

– კანდიდატები უკვე აცხადებენ, რომ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას, მაგალითად, ელისა შვილმა ეს არ გამორიცხა.

– ელისა შვილი ცოტა ჩქარობს, როდესაც ამ განაცხადს აკეთებს.

– რატომ?

– გაზაფხულის ბოლოსკენ ალბათ უფრო გამოიკვეთება პოლიტიკური სიტუაცია და უფრო დალაგებული იქნება, თუ სერიოზულ ბრძოლაზეა საუბარი ხელისუფლების კანდიდატთან და არა იმაზე, რომ თუ მონაწილეობ, უკვე კარგია.

– თქვენ გამორიცხავთ წონიანი კანდიდატების გამოჩენას? თუნდაც თავის დროზე როგორ მოულოდნელადაც გამოჩნდა პაატა ბურჭულაძე, ცხადია, ფინალს არ ვგულისხმობ.

– თუ იმ ანალოგიით ვიხელმძღვანელებთ, რასაც თქვენ ბრძანებთ, ასეთი ფიგურა მართლაც შეიძლება გამოჩნდეს, მაგრამ, რამდენად ექნება მას შანსი, რომ გაიმარჯვებს, ეს არის პრობლემა. გამოჩნდა პაატა ბურჭულაძე. მან საზოგადოებაში გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, თავიდანვე ვვარაუდობდით, რომ მას შეიძლებოდა საარჩევნო ბარიერი გადაელახა, მაგრამ ვნახეთ, როგორ განვითარდა მოვლენები, ბარიერიც კი ვერ გადალახა.

ასეთი კანდიდატი მართლაც შეიძლება გამოჩნდეს, რომელიც გარკვეულ აჟიოტაჟს გამოიწვევს, მაგრამ მოიპოვებს კი გამარჯვებას?! თუნდაც ალეკო ელისაშვილი თუ თბილისის არჩევნებში მიღებულ შედეგს მთელი ქვეყნის მასშტაბით მოიპოვებს, ეს იქნება კარგი შედეგი, მაგრამ ეს რამდენად იქნება საკმარისი საპარლამენტო არჩევნებში სერიოზული ბრძოლის გასამართად ხელისუფლებასთან, ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი.

ამით იმას კი არ ვამბობ, რომ ოპოზიციამ საერთოდ უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე, პირიქით, გაზაფხულამდე ყველაფერი უნდა გააკეთოს ოპოზიციამ, რომ ჩამოყალიბდეს, შეთანხმდეს, რომ სერიოზულად გამოვიდნენ. თუ ოპოზიცია აპირებს იმავე წარმატების გამეორებას, რასაკვირველია, ბრჭყალებში ვამბობ, როგორც 2016 წელს, მაშინ რა პრობლემაა, მაგრამ, თუ ოპოზიცია აპირებს, სერიოზული ბრძოლა გამოუცხადოს ხელისუფლებას საპარლამენტო არჩევნებზე, მაშინ მან მზადება დღეიდანვე უნდა დაიწყოს და სერიოზული შედეგი უნდა დადოს საპრეზიდენტო არჩევნებზე.

– რამდენად იქნება საპრეზიდენტო არჩევნები საპარლამენტო არჩევნებისთვის ერთგვარი რეპეტიცია?

– საპრეზიდენტო არჩევნებით ხელისუფლება არჩევნების ციკლს ასრულებს. ამის შემდეგ სხვა პოლიტიკური ვითარება დალაგდება. თუ როგორ დალაგდება ეს პოლიტიკური რეალობა, ამ შემთხვევაში ეს მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა შედეგს დადებს ოპოზიცია ამ არჩევნებზე.

– საარჩევნო ციკლს ხელისუფლება გამარჯვებით დაასრულებს?

– დღევანდელი გადასახედიდან, დიდი ალბათობით, რა თქმა უნდა, ხელისუფლების კანდიდატი მოიგებს. თუ ოპოზიცია იმავე მდგომარეობაში იქნება, რა მდგომარეობაშიც არის დღეს ყველა შემადგენლისა და ნიუანსის გათვალისწინებით, იდეოლოგიით, აქცენტებით, პიარით, მაშინ ხელისუფლებისთვის გამარჯვება პრობლემა ნამდვილად არ იქნება. დღევანდელ პოლიტიკურ აქტორებს თუ შევხედავთ, ვინ რას ლაპარაკობს, ვინ რაზე ამახვილებს ყურადღებას, ვინ როგორ წარმოაჩენს თავის თავსა თუ შესაძლებლობებს, ეს არის ის, რომ ხელისუფლებას შეუძლია, მშვიდად იყოს. ამიტომ ვამბობ, რომ ეს სამი-ოთხი თვე ოპოზიციამ უნდა გამოიყენოს რაციონალურად. არ ვიცი, ახლის ჩამოყალიბება მოხდება, ძველის გადახალისება თუ რა, მაგრამ ეს დრო არსებული რეალობის გასააზრებლად უნდა გამოიყენოს. ყოველთვის გაზაფხული საქართველოში მძიმე პოლიტიკური დროა, მშიერი თვეებია, მაგრამ ამას რამდენად გამოიყენებს ოპოზიცია, ეს რთული სათქმელია.

ყოველ შემთხვევაში, ის, რასაც დღეს ოპოზიცია აკეთებს, გნებავთ, იდეოლოგიის, გნებავთ, ოპონირების ხარისხის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იქნება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. ახალი პოლიტიკური ცენტრისა თუ ძალის ფორმირება არ არის მხოლოდ ორგანიზაციული საკითხი, მთავარია, სიტუაცია რა იქნება და ამ სიტუაციას როგორ მოერგება ოპოზიცია. მიიტანს კი ოპოზიცია თავის სათქმელს ამომრჩევლამდე, რას დაჰპირდება მოსახლეობას და ირწმუნებს კი მოსახლეობა, ეს არის მნიშვნელოვანი. მე ალეკო ელისაშვილს წარმატებას ვუსურვებ, მაგრამ შეიძლება მერის არჩევნებზე მიღებული შედეგი მაცდური აღმოჩნდეს, ამიტომ მეტი დაფიქრება მოუწევს.

ოპოზიცია უნდა ჩამოყალიბდეს სტრატეგიულად და ამ სტრატეგიაში საპრეზიდენტო არჩევნები ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი უნდა იყოს. ძირითადი, რა თქმა უნდა, საპარლამენტო არჩევნები უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიციას ძალიან გაუჭირდება რაიმე წარმატების მიღწევა.

– აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება სახელისუფლებო კანდიდატი?

– დღესდღეობით ვინც არ უნდა იყოს, მოიგებს. ამიტომ ვამბობ, რომ მნიშვნელობა აქვს, რას გააკეთებს ოპოზიცია.

კახა კალაძე: „თბილისის მერიის მაღალჩინოსნების ხელფასები არ გაორმაგებულა“

თბილისის მერი კახა კალაძე დედაქალაქის მერიის მაღალჩინოსნებისთვის ხელფასის გაორმაგების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუეს უწოდებს.

მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას დედაქალაქის მერმა მიმართვით უპასუხა და განმარტა, რომ ის, როგორც თბილისის მცხოვრებლების მიერ არჩეული მერი, „თავს ვალდებულად თვლის საზოგადოებას უთხრას სიმართლე“.

კახა კალაძის განცხადებით, აღნიშნულ თემაზე მან და თბილისის ვიცემერმა ირაკლი ხმალაძემ განმარტებები გააკეთეს, თუმცა ეს განცხადებები კონკრეტულ სიუჟეტში საერთოდ არ გაუშვეს და ამოჭრეს.

– საბედნიეროდ, წლები, როდესაც ერთი ადამიანის ხელში იყო ყველა ტელევიზია და შეუძლებელი იყო ადამიანებისთვის სიმართლის მიწოდება, 2012 წელს წარსულს ჩავაბარეთ. ნამდვილად მიხარია ის, რომ დღეს საქართველოში არის იმის შესაძლებლობა, რომ მედია თავისუფალია. „ფეისბუქი“ ყველაზე მარტივი საშუალებაა, სადაც მე მაქვს შესაძლებლობა თქვენ პირდაპირ გესაუბროთ და გაგაცნოთ ის რეალობა, პროექტები, რის განხორციელებასაც ვაპირებთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არის ძალიან დიდი ტყუილი, რომ თითქოს ჩვენ მოადგილეებს ხელფასები გავუორმაგეთ. მინდა გითხრათ, თუ როგორ ხდებოდა დღემდე – იყო თანამდებობრივი სარგო და იყო ყოველთვიური დანამატი. ახალი კანონმდებლობის შესაბამისად ეს ყველაფერი გაერთიანდა და ამას დაერქვა ხელფასი, ანუ თანამდებობრივი სარგო, – განაცხადა კალაძემ.

ამასთან, კახა კალაძემ ისაუბრა იმ თანამდებობრივ სარგოებზე, რომლებსაც გიგი უგულავასა და დავით ნარმანიას მერობის პერიოდში თბილისის მერიის მაღალჩინოსნები იღებდნენ.

– წარმოგიდგენთ გიგი უგულავას მერობის პერიოდში რა ხელფასებს იღებდა თვითონ მერი – ბატონი უგულავა და მისი მოადგილეები. მაგალითად, გიგი უგულავას წლიური შემოსავალი იყო 95.400 ლარი, თვეში საშუალოდ – 7.950 ლარი. სევდია უგრეხელიძის წლიური შემოსავალი 89.243 ლარი იყო, თვეში საშუალოდ – 7.437 ლარი. შოთა ხიზანიშვილს მერზე მეტი შემოსავალი ჰქონდა – 101.336 ლარი, თვეში საშუალო – 8445 ლარი. დავით ნარმანიას მერობის პირობებში მისი თანამდებობრივი სარგო წლიურად 38.160 ლარი იყო, თვეში გამოდიოდა დაახლოებით – 3.180 ლარი. მისი მოადგილე ლაშა აბაშიძის შემთხვევაში წლიური – 73.475 ლარი იყო, ხოლო თვეში გამოდიოდა – 6.123 ლარი, – განაცხადა კალაძემ.

კახა კალაძემ წარმოადგინა მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ხელფასები ექნებათ მისი მერობის პირობებში მოადგილეებს, კერძოდ, მერის წლიური ხელფასი – 38.160 ლარი, თვეში – 3.180 ლარი; ვიცე მერი ირაკლი ხმალაძე წლიურად – 75.600 ლარი, თვიურად – 6.300 ლარი; დანარჩენი მოადგილეები – ირაკლი ბენდელიანი, მაია ბითაძე და ილია ელოშვილი წლიური – 73.800 ლარი, თვეში საშუალოდ – 6.150 ლარი.

– მინდა რომ მოსახლეობას ჰქონდეს სწორი და ზუსტი ინფორმაცია. ჩვენ არ მივცემთ ჩვენს თავს იმის უფლებას, რომ მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც რა თქმა უნდა, დააზიანებს თბილისის მერს, პირადად მე, ჩემს თანაგუნდელებს და ზოგადად, ცუდი იქნება ჩვენი ქალაქისთვის. ხელფასების გაორმაგება შეიძლება მაშინ, როდესაც ქალაქში ყველა ის პრობლემა იქნება მოგვარებული, რომელიც მოსახლეობას აწუხებს და აქტუალურია, – განაცხადა კახა კალაძემ.

ინტერპრესნიუსი

დაადებს თუ არა პრეზიდენტი „მაუწყებლობის შესახებ“ კანონპროექტს ვეტოს, დღეს გახდება ცნობილი

დაადებს თუ არა პრეზიდენტი „მაუწყებლობის შესახებ“ კანონპროექტს ვეტოს, დღეს, 15 იანვარს გახდება ცნობილი. სწორედ 15 იანვარს იწურება 10-დღიანი ვადა, რომლის შემდეგაც პრეზიდენტმა ხელი უნდა მოაწეროს პარლამენტის მიერ სამი მოსმენით მიღებულ კანონპროექტს ან მოტივირებული შენიშვნებით უკან დაუბრუნოს საკანონმდებლო ორგანოს.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო ტელევიზიების წარმომადგენლები, ასევე, მედიაექსპერტები პრეზიდენტს აღნიშნულ კანონპროექტზე ვეტოს დადებისკენ მოუწოდებენ, თუმცა, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს გიორგი მარგველაშვილი.

საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, საზოგადოებრივ მაუწყებელს უფლებამოსილება უფართოვდება და შეეძლება კანონმდებლობით განსაზღვრული შემოსავლები, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები დამწყები საწარმოების (სტარტაპები) წახალისების (ტელე, რადიო და ონლაინ პროდუქციის), ინოვაციური განვითარების, მაუწყებლობის სფეროში გარემოს განვითარების ხელშეწყობაზე მიმართოს. ამასთან, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დასაშვები ხდება კომერციული რეკლამის განთავსება სამუშაო დღეებში.

გარდა ამისა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი არ გავრცელდება დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამაზე, რომლებსაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერის არანაკლებ 25% დაეთმობა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით დადგენილი შეზღუდვები ასევე არ გავრცელდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადასაცემი გადაცემების, ფილმების, სერიალების დამზადების მომსახურების შესყიდვაზე.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებები უმრავლესობის დეპუტატების მიერ არის ინიცირებული.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მარგველაშვილი ჭკვიანი ადამიანი გამოდგა, მაგრამ მის ხელახალ გაპრეზიდენტებას არ დავუშვებთ“

ლადო სადღობელაშვილი:

„ქართული ოცნების“ წევრები სააკაშვილს საქართველოში რევოლუციის გამართვაში ეხმარებიან“

შორენა მარსაგიშვილი

რა თამაშები წამოიწყო გიორგი მარგველაშვილმა, ვინ გაერთიანდება მის გარშემო, რატომ გაეზარდათ ჩინოსნებს ხელფასები, ვინ აპირებს საგანელიძის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების გამართვას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

ლადო სადღობელაშვილი:

– მოსახლეობა, ფაქტობრივად, შიმშილობის პირასაა და ამ დროს ხელისუფლების წარმომადგენლების ხელფასები კატასტროფულად იზრდება. ამ დღეებში მედიით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კახა კალაძემ თავის მოადგილეებს ხელფასები გაუზარდა.

მე კახა კალაძე არაერთხელ გამიკრიტიკებია და მის წინააღმდეგ აქციებიც მომიწყვია, მაგრამ ხელფასების გაზრდის გამო ყველაზე ნაკლებად მას უნდა მოვთხოვოთ პასუხი.

ამ ვირეშმაკულ გადაწყვეტილებაში ლომის წილი უდევთ პარლამენტსა და პრეზიდენტს. ეს უკანასკნელი ყველაფერს ვეტოს ადებს, მაგრამ ეს ამბავი მოეწონა და ხელიც მოაწერა. არც მიკვირს, მისი ხელფასიც მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ესენი საკუთარი კეთილდღეობისთვის ყველაფერს რომ იკადრებენ, ჩვეულებრივ ამბად იქცა, მაგრამ იმას ვერ ვხვდები, ხალხი რატომ ითმენს ამ ყველაფერს. დავიჯერო, არავის უჩნდება კითხვები იმაზე, თუ რატომ უნდა აიღოს დეპუტატმა 8.000 ლარი ხელფასის სახით.

– ეს ამბავი სიმართლეს შეეფერება? ბევრს არ სჯერა, რომ კანონმდებლების ხელფასი ასე იზრდება.

– ჩემი თუ არ გჯერათ, საკანონმდებლო მაცნე ნახეთ, სადაც პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნდება. პარლამენტის მიღებული და მარგველაშვილის მოწონებული კანონის თანახმად, საჯარო სამსახურისა და პოლიტიკური თანამდებობები დაიყო რანგებად და მიენიჭა კოეფიციენტები! ეს არის ქოცნაცური პროექტი!

მაგალითისთვის გეტყვით, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს თუ შარშან 5.000 ლარამდე ჰქონდა ხელფასი (პრემია-დანამატის გარეშე), დღეს 17.000 აქვს. ასევე პრეზიდენტიც, პრემიერიც და მინისტრებიც.

რიგითი დეპუტატის ხელფასი 2.000-დან 7.000-მდე გაიზარდა... და აშ... ეს სახელფასო რეფორმა შეეხო მერიასაც!

– თქვენ თქვით, რომ ეს კანონპროექტი ქოცნაცურია და რას გულისხმობდით?

– იმას, რომ ეს გადაწყვეტილება მათ ერთობლივად მიიღეს. ამაში „ევროპული საქართველო“ და პატრიოტთა ალიანსიც მონაწილეობდნენ. არცერთ მათგანს არ გაუპროტესტებია ეს ამბავი. რატომ გააპროტესტებდნენ, მათაც გაეზარდათ ხელფასები. საპარლამენტო ოპოზიცია ძალიან სამარცხვინოდ იქცევა.

– არასაპარლამენტო ოპოზიცია რატომ არ აპროტესტებს ამ ამბავს?

– იმედი მაქვს, გააპროტესტებს. ხელფასების გაზრდასთან დაკავშირებით პარლამენტმა გადაწყვეტილება ვირეშმაკულად მიიღო. ამ თვის ბოლოს რომ აიღებენ გაზრდილ ხელფასებს, მერე ამოიღებს ხმას ყველა – არასაპარლამენტო ოპოზიციაც და ხალხიც.

– დარწმუნებული ხართ, რომ ხალხი ამაზე ხმას ამოიღებს?

– ამაში ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ. ხალხისთვისაც და ოპოზიციისთვისაც რატომღაც ყველაფერი სულ ერთი გახდა.

მას შემდეგ, რაც ამ გადაწყვეტილების შესახებ საკანონმდებლო მაცნეში წავიკითხე, სულ იმაზე ვფიქრობ, ასეთი უთავმოყვაროები როგორ ჩამოვყალიბდით?! ხელისუფლება ჩვენით მდიდრდება, ზულუქდება, კანში ვეღარ ეტევა, ფული სად წაიღონ, აღარ იციან და ჩვენ ხმასაც არ ვიღებთ!

ამასობაში აშენდნენ დავით საგანელიძე და ეკა ბესელია

„ირაკლი კობახიძე 17.000 ლარს აიღებს ხელფასს“

და არა მარტო ეგენი. ჩვენ კი უნდა შევეგუოთ ყოველივე ამას! ჩვენ ხომ 600 ლარი გვაქვს ხელფასი და მორჩა!

ხალხი მანამდე არ უნდა გამოვიდეს ქუჩაში, სანამ სახლ-კარს არ წაართმევენ და ცოლებს თვალწინ არ გაუუპატიურებენ? უნდა შეიგნოს ყველამ, რომ საქართველოს ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს პატივს არ სცემს!

სხვანაირად როგორ უნდა გავიგო ის, რომ მარგველაშვილს, კობახიძეს ან საგანელიძეს 15-20 ათასი აქვთ ხელფასი, ხოლო 40-წლიანი სტაჟის მქონე ბაბუაჩემს – 180 ლარი პენსია!

– თქვენ ხალხს საყვედურობთ, ამაზე არ რეაგირებენო. საინტერესოა, რატომ არ რეაგირებს ამაზე ქართული მარში?

– როგორ არ რეაგირებს? აბა ახლა მე რას ვაკეთებ? თუ მხედველობაში აქციის გამართვა გაქვთ, ამ თემაზე აუცილებლად გავმართავთ აქციას. ასეთი უნამუსობა ხელისუფლებას არ უნდა გავუტაროთ.

რამდენიმე წლის წინ, პოლიტიკაში მოსვლამდე, ბიძინა ივანიშვილმა თქვა, შუა უნდა გაიკრიფოსო. თავიდან ყველას ეგონა, რომ საუბარი პოლიტიკურ პარტიებზე იყო. ახლა აშკარა ხდება, რომ ივანიშვილი საშუალო ფენის გაკრეფაზეც საუბრობდა. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ქვეყანაში საშუალო ფენა მთლიანად მოისპო. აქ მოსახლეობის 99% სიღარიბეში ცხოვრობს, 1% გაზულუქებულია და აღარ იციან, სად წაიღონ ფულები.

იმდენად გაზულუქდნენ, რომ დავით საგანელიძე საჭმელს მარტო ოქროს დანა-ჩანგლით ჭამს.

– ამას ხუმრობთ თუ სერიოზულად ამბობთ?

– რას ვხუმრობ? სრული სერიოზულობით გეუბნებით, რომ საგანელიძე ოქროს დანა-ჩანგლით ჭამს საჭმელს და წყალს ოქროს ჭიქით სვამს.

– თქვენ ეს თავად ნახეთ?

– მე და დავით საგანელიძეს საერთო მეგობარი გვყავს. ის მასთან ხშირად დადის სტუმრად და მისგან ვიცი. საგანელიძე ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავს, მიხვდება, ვისგანაც ვიცი ეს ამბავი, ისიც კარგად ვიცი, რომელი შამანის რჩევით იქცევა ასე.

ახლო მომავალში ქართული მარში მასთან დაკავშირებით აქციის გამართვას გეგმავს. ეს ადამიანი ძალიან თავხედურად იქცევა. 2012 წლამდე გაძვალტყავებული დადიოდა, ახლა ამ ფულებით ისე გასუქდა, კანში ვეღარ ეტევა.

– საგანელიძეს 2012 წლამდეც ჰქონდა ფული.

– ჰქონდა, მაგრამ ამდენი არა. ახლა ისე გაზულუქდა, ოქროს დანა-ჩანგალს ხმარობს მხოლოდ. უკვე დროა, სოციალურ თემებზეც დავიწყოთ აქტიურობა. არ შეიძლება, მუქთახორა დეპუტატების ხელფასი 7.000 ლარიდან იწყებოდეს. რამეს მაინც წარმოადგენდნენ ეს დეპუტატები. ტიპური მედროვეები და უნამუსოები არიან. თითქმის ყველა ხელისუფლებას მოერგნენ, მილიონები იშოვეს და ახლა უზარმაზარი ხელფასები დაინიშნეს.

ჩვენ აუცილებლად გავაპროტესტებთ ამას. იმედი მაქვს, საზოგადოებაც გამოვა გარეთ. ჩვენ არა ვართ ვალდებული, მუქთახორა მოღალატეები გამოვკვებოთ. ხალხი იმასაც უნდა მიხვდეს, რომ 50 ლარზე არჩევნებზე არ უნდა გაიყიდოს. ყველამ იცოდეს, რომ ხმის მყიდველი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ დარიგებულ ფულს ასმაგად ამოიღებს.

– როდისთვის გეგმავს ქართული მარში მუქთახორა დეპუტატების წინააღმდეგ აქციის გამართვას?

– ჯერ ზუსტი თარიღი არ ვიცით, მაგრამ, რაც მალე გავაკეთებთ ამას, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის. დროა, საკუთარი უფლებები თავად დავიცვათ.

იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში ქართული მარში ერთ ძალიან საინტერესო აქციას გამართავს. ეს აქცია მუქთახორა პრეზიდენტის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ამ ადამიანს რომ ჰკითხო, ფუფუნება არ უყვარს, მაგრამ ხელფასების გაზრდას კარგად დაეთანხმა.

საერთოდ, ამ „ოცნებაში“ ძალიან ვირეშმაკები არიან. პიარი რომ არ უვარგათ, ვიცით და იმასაც ვერ აპიარებენ, რაც გააკეთეს. ამ უპიარობას თავიანთ სასარგებლოდაც იყენებენ. ისე გაიზარდეს ხელფასები, ხალხი აზრზე ვერ მოვიდა. პრეზიდენტი ვითომ დაპირისპირებულია პარლამენტთან, მაგრამ, რაც აწყობდა, დაეთანხმა.

ქართულ მარშს გიორგი მარგველაშვილის წინააღმდეგ აქციის გამართვა გადაწყვეტილი აქვს. საზოგადოებაც ჩვენთან დადგება. პრეზიდენტის რეზიდენციასთან ერთად მივალთ და ერთად მოვთხოვთ პასუხს მარგველაშვილს.

– ხელფასების გაზრდაზე პასუხს მარგველაშვილს სთხოვთ? პარლამენტი არაფერ შუაშია ან აღმასრულებელი ხელისუფლება?

– ჩვენ მარგველაშვილს ხელფასების გაზრდაზე არ ვუმართავთ აქციას. ამაზე მთელ ხელისუფლებასა და მასთან შეხმატკბილებულ ოპოზიციას ერთად მოვთხოვთ პასუხს.

ქართული მარში გიორგი მარგველაშვილის გადადგომას მოითხოვს. ეს კაცი ისედაც დიდი ხანი ავიტანეთ პრეზიდენტად.

– მარგველაშვილი რამდენიმე თვეში ისედაც გადადგება და ცოტა ხომ არ დაგაგვიანდათ?

– რამდენიმე თვეში რომ გადადგება, ეს კარგად ვიცით, მაგრამ ჩვენი აქცია მხოლოდ მისი გადადგომის მოთხოვნით არ გაიმართება. ქართული მარშის მოთხოვნაა, რომ ამ პერსონამ აღარ გაბედოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ის ამისთვის სერიოზულად ემზადება. ტიპს იმდენად გაუტკბა პრეზიდენტობა, რომ საპატრიარქოშიც კი დაიწყო სიარული. სინოდის წევრებს მოსვენება აღარ აქვთ – სულ იქ ჰყავთ მარგველაშვილი.

– ეს რატომ გიკვირთ, პატრიარქის მოსაყდრე მეუფე შიო მისი ბავშვობის მეგობარია.

– აქამდე რატომ არ დარბოდა საპატრიარქოში, აქამდე რატომ არ ნახულობდა თავის მეგობარს? არჩევნები მოახლოვდა და მოუხშირა საპატრიარქოში სირბილს. ლიბერასტების ბოლო ბასტიონი იქ შემთხვევით არ დადის.

ის ცდილობს, საზოგადოებას თავი, როგორც მორწმუნე ადამიანმა, ისე მოაჩვენოს. მეუფე შიოსთან მეგობრობასაც ოსტატურად უსვამს ხაზს. ხალხი იფიქრებს, რომ რადგან მეუფე შიოს მეგობარია, მორწმუნეა.

აქამდე ეს ადამიანი მთავრობის წევრებთან ერთად არასდროს ჩნდებოდა წირვაზე, ქალაქგარეთ პატარა ტაძარში ამჯობინებდა წასვლას. ახლა სამების საკათედრო ტაძრიდან ვერ გამოჰყავთ. თავს მორწმუნედ გვაჩვენებს, სინამდვილეში, როგორც უკვე გითხარით, ლიბერასტების ბოლო ბასტიონია.

ის საკმაოდ ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანი გამოდგა. თავის გარშემო ძალიან საინტერესო ხალხს მოუყარა თავი. მის ადმინისტრაციაში რამდენიმე მამალი ნაციონალი მუშაობს. ის ახლო ურთიერთობაშია ნაციონალებთან. არ გამიკვირდება, საპრეზიდენტო არჩევნებში ყოფილმა ხელისუფლებამ მას დაუჭიროს მხარი.

– ყოფილი ხელისუფლება რამდენიმე ნაწილად არის გაყოფილი. რომელი ნაწილი დაუჭერს მხარს?

– უფრო „ევროპული საქართველო“. მარგველაშვილს აქაც ჰყავს მეგობრები. მეუფე შიოს მსგავსად, გიგა ბოკერიაც მისი ბავშვობის მეგობარია.

ზემოთ გითხარით, რომ ის ჭკვიანია და საკმაოდ სერიოზული სქემა მოიფიქრა. ლიბერასტი ხომ არის და ახლა მორწმუნეთა გულების მოგებას ცდილობს. მაგის გარდა, ისე აკეთებს, რომ ეროვნული ძალების რჩეულადაც წარმოჩნდეს.

– რომელ ეროვნულ ძალებზე საუბრობთ?

– სიმართლე რომ გითხრათ, ისინი უფრო ფსევდოეროვნული ძალები არიან და პრეზიდენტის სამეგობროში მოიაზრებიან. ახლა მათ ვინაობას არ დავასახელებ, მაგრამ ძალიან მალე ყველა ნახავთ, როგორ დაუჭერენ მას მხარს.

– შემთხვევით ივანიშვილიც ისევ მას ხომ არ დაუჭერს მხარს?

– ივანიშვილის მხარდაჭერა გამორიცხულია, მაგრამ „ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რომ ის მეორე ტურში გავიდეს. ერთხელ უკვე გითხარით, რომ „ქართულ ოცნებას“ საპრეზიდენტო კანდიდატად ქალი უნდა. ისიც გითხარით, რომ სალომე ზურაბიშვილზეა საუბარი. ახლა მომაწოდეს ინფორმაცია, რომ თეა წულუკიანის კანდიდატურაც განიხილება.

მე როგორც ვიცი, „ოცნებაში“ უნდათ, მათმა კანდიდატმა მოქმედი პრეზიდენტი დაამარცხოს. საქმე შესაძლოა მეორე ტურამდეც მივიდეს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ გამარჯვება კვლავ მარგველაშვილს დარჩეს. ამას კი არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ. ჩვენ ხალხს ვეტყვით სიმართლეს.

– „ქართული ოცნება“ დაუშვებს მარგველაშვილის მეორე ვადით არჩევას?

– „ოცნება“ ყველაფერს დაუშვებს. საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობა ნაციონალებთან არის შეკრული. რამდენიმე კვირის წინ ვანო ზარდიაშვილმა თქვა, რომ „ოცნებაში“ მხოლოდ 7 კაცია, რომლებიც ნაციონალებს ვერ ეგუებიან. მას მხედველობაში ბიძინა გეგიძე და მისი ფრაქციის წევრები ჰყავდა. დანარჩენები ნაციონალებთან არიან შეკრული. არ გამოვრიცხავ, მათ აქ სააკაშვილს ახალი რევოლუცია მოაწყობინონ.

სუსს მე რომ ვაკრიტიკებ, კრიტიკა ეგეთი უნდა, მაგრამ, როცა საქმე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ეხება, სახელმწიფოებრივი პოზიცია უნდა დაიკავო. ესენი რას აკეთებენ? სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მხოლოდ რამდენიმემ გამოუცხადა მხარდაჭერა, დანარჩენები გაიძახიან, კითხვები გვაქვსო.

პანკისსა და თბილისში ჩატარებულ სპეცოპერაციებთან მეც მაქვს კითხვები, მაგრამ გამოძიებას ველოდები. ესენი რას ელოდებიან, კაცმა არ იცის. ამიტომ, არ გაგიკვირდეთ, თუ ერთ მშვენიერ დღეს სააკაშვილს დააბრუნებენ.

„The Economist": „ქართული ოცნება“ ოპოზიციას ახშობს“

გავლენიანი ბრიტანული გამოცემა „The Economist“ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ ვრცელ მასალას აქვეყნებს. „ახალი თაობა“ გთავაზობთ სტატიის შემოკლებულ, ქართულენოვან ვერსიას თავისუფალი თარგმანით:

მომხიბლავი ძველი თბილისის ხის აივნების ქვეშ შუა საუკუნეების მსგავსი წარწერის მქონე აბრები რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამვლელს ღვინის დეგუსტაციას სთავაზობს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როცა რუსი ტურისტების ნაკადი შეწყდა, სტუმრებს ძირითადად მხოლოდ ინგლისურ ენაზე მიმართავდნენ, მაგრამ დღეს სრულიად სხვა სიტუაციაა: რუსი ტურისტები დაბრუნდნენ, დაბრუნდა რუსული ენაც.

ქართველი პოლიტიკური ლიდერების ახალი თაობა რუსეთთან ურთიერთობების საკითხში პრაგმატულადაა განწყობილი. მართალია, ამ ორ მეზობელ ქვეყანას ერთმანეთთან ჯერ კიდევ არ აქვთ აღდგენილი დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ თბილისელი და მოსკოველი ჩინოვნიკები რეგულარულ მოლაპარაკებებს მაინც მართავენ. მათი პრაქტიკული ინიციატივები ეხება ვაჭრობის, ტრანსპორტის მოძრაობის, ტურიზმის გაიოლებას ორ ქვეყანას შორის. „საქართველოს დღევანდელი მთავრობა ყოველნაირად ცდილობს, რომ რუსეთი არ გააბრაზოს, არ შეეწინააღმდეგოს“, – ამბობს ლატვიელი პოლიტიკოსი და დიპლომატი ოჟარს კალნინში.

რუსეთისადმი საქართველოს დღევანდელი დამოკიდებულება ძალიან განსხვავდება ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროინდელი მიდგომებისაგან. მიხეილ სააკაშვილს უყვარდა ვლადიმერ პუტინის პროვოცირება და ზოგიერთი ცნობის თანახმად, მას „ლილიპუტინსაც“ უწოდებდა ხოლმე. სამაგიეროდ, ყოფილი პრეზიდენტი აღფრთოვანებული იყო ამერიკის შეერთებული შტატებით, რომელიც, თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურად“ მიიჩნევდა.

რუსეთთან დაძაბულობის პიკმა ხუთდღიანი ომის დროს მიაღწია, რომელშიც საქართველომ მარცხი განიცადა. თავისი მმართველობის ბოლო წლებში მიხეილ სააკაშვილი სულ უფრო და უფრო იხრებოდა ავტორიტარული მმართველობისაკენ და შედეგმაც არ დააყოვნა: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მისი პარტია („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) დამარცხდა – გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყნის ყველაზე მდიდარი ადამიანის, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საქართველო დასავლეთს შორდება და კვლავ რუსეთის ორბიტაზე ბრუნდება? არა, მთლად ასე არ არის.

– კონფრონტაციული ტონი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მმართველობის ეპოქაში რუსეთის მიმართ დომინირებდა, შედარებით უფრო რბილი დამოკიდებულებით შეიცვალა, თუმცა შინაარსი ბევრად არ განსხვავდება, – ამბობს სალომე ზურაბიშვილი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ახლა კი პარლამენტის წევრია დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით.

საქართველო ისევ ისწრაფვის ევროპისაკენ და ევროკავშირში გაწევრიანება სურს. ტერიტორიისა და საზღვრების საკითხში თბილისის პოზიცია მტკიცე რჩება: ნატოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები რუსეთის მიერ არის ოკუპირებული.

ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენლები მიესალმებიან რუსეთის მიმართ საქართველოს მთავრობის „პრაგმატულ, მაგრამ იმავდროულად პრინციპულ“ მიდგომას. ისინი იმედოვნებენ, რომ შედარებით უფრო რბილი რიტორიკა, სავაჭრო კავშირებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების გაუმჯობესება ხელს უწყობს დაძაბული ატმოსფეროს განმუხტვას, იზრდება სასაზღვრო დავის გადაწყვეტის შანსებიც. მაგრამ საქართველოს შემრიგებლურ პოლიტიკას რუსეთი არ პასუხობს, პირიქით – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი უფრო მეტად ინტეგრირდებიან რუსულ სახელმწიფო სტრუქტურებში, იხურება საკონტროლო-გამშვები პუნქტები, გასულ წელს კი რუსეთმა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო საზღვარი სულ უფრო ღრმად გადასწია საქართველოს ტერიტორიის შიგნით.

ამასობაში კი საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების ტემპი ნელდება. ევროპელი ჩინოვნიკები თვლიან, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს, მაგრამ მხოლოდ პოლიტიკური რეფორმების გატარებისა და უმცირესობათა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შემდეგ. 2016 წელს ძალაში შევიდა „ასოცირების შეთანხმება“, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალ ვაჭრობას ითვალისწინებს. 2017 წლის მარტში საქართველომ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმიც მიიღო, თუმცა სამომავლოდ ამგვარი პროგრესი, როგორც ჩანს, უფრო გართულდება: მაგალითად, ევროკავშირის ეკოლოგიური სტანდარტებისა და დასაქმებულთა უფლებების დაკმაყოფილება საქართველოსთვის სულ უფრო რთული და მტკივნეული იქნება.

გარდა ამისა, ზოგიერთ ევროპელ პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ მმართველი „ქართული ოცნება“ ოპოზიციას ახშობს, ზეწოლას ახდენს. 2012 წლის არჩევნების შემდეგ საქართველომ მაღალი შეფასება მიიღო, რომ პირველად დამოუკიდებლობის პერიოდში, ხელისუფლების პოლიტიკური ცვლა მშვიდობიანად განხორციელდა. თუმცა მოგვიანებით წინა მთავრობის ათობით ჩინოვნიკი დაპატიმრებულნი იქნენ, სახელისუფლებო უფლებამოსილების ბოროტად სარგებლობის ბრალდებით. მათ შორისაა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილიც, რომელიც ჯერ კიდევ საპყრობილეშია და სასჯელს იხდის.

– „ქართულმა ოცნებამ“ თავისი ხელისუფლების კონსოლიდაცია ისე მოახდინა, რომ კონტროლისა და საპირწონის ბალანსი აღარ ჩანს“, – ამბობს ვანო ჩხიკვაძე, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფის წევრი.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც პრემიერ-მინისტრის პოსტი 2013 წელს დატოვა, კვლავ რჩება ქვეყნის ყველაზე გავლენიან ადამიანად, ჩრდილოვან ლიდერად. სანამ პოლიტიკაში მოვიდოდა, იგი საჯაროდ გამოჩენას ერიდებოდა. იგი უფრო ცნობილი იყო თავისი ჰობით ეგზოტიკური ცხოველების – ზებრების, კენგურუებისა და პინგვინების მიმართ, აგრეთვე ფილანტროპიით. ბიძინა ივანიშვილმა თავისი მშობლიური სოფლის მოსახლეობას საცხოვრებელი პირობები გაუუმჯობესა, მათი ხარჯები თვითონ დაფარა, ასევე მონაწილეობდა თბილისის ახალი ტაძრის მშენებლობის ფინანსურ უზრუნველყოფაში, ეხმარებოდა „მებრძოლ“ ინტელექტუალებსაც. პოპულარობამ და გულუხვობამ ხელი შეუწყო ბიძინა ივანიშვილის ძალაუფლების განმტკიცებას. როგორც ამბობენ, იგი უხილავი ძაფებით (მართავს სიტუაციას) თავისი ფუტურისტული სასახლიდან, რომელიც თბილისს ზემოდან გადმოჰყურებს. მინისტრები მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის წყალობით ინიშნებიან და თავისუფლდებიან.

ზოგიერთები თვლიან, რომ ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსებს უფრო მეტი კონტროლის განხორციელების უფლებას აძლევს. თუ ასეა, ქვეყანა შეიძლება ახალ ფაზაში შევიდეს. დღეს ქართულ მთავრობას ყოვლისმომცველი იდეოლოგია არ აქვს. იმ დროს, როცა მთავრობა რუსეთთან ურთიერთობის პრობლემებს აწყდება, ამომრჩეველთა დარწმუნება იმაში, რომ ევროკავშირში გასაწევრიანებლად რეფორმების გატარება ღირებული და აუცილებელია, საკმაო ძალისხმევას მოითხოვს. მთავრობას შეეძლო რაღაც ხედვა ჰქონოდა, რაც მიხეილ სააკაშვილს, ყველა მისი ნაკლის მიუხედავად, არასდროს აკლდა. „იგი გიჟიც იყო და შემოქმედიც“, – ამბობს სალომე ზურაბიშვილი. საქართველოსთვის უკეთესია გიჟები არ ჰყავდეს, მაგრამ ცოტა მეტი შემოქმედება და კრეატიულობა მისასალმებელია.

ათონის მთაზე, გრიგორიუსის მონასტერში, ქართველი მღვდელმონაზონი, ბერი ილარიონი (კახა მეგრელიშვილი) აკურთხეს

თითქმის 76-წლიანი პაუზის შემდეგ ათონის მთაზე, გრიგორიუსის ბერძნულ მონასტერში, ქართველი მღვდელმონაზონი აკურთხეს.

კურთხევის ცერემონია 14 იანვარს, გამთენიისას გაიმართა.

მღვდელმონაზვნად ბერი ილარიონი (კახა მეგრელიშვილი) ეკურთხა, რომელიც წმინდა მთაზე დაახლოებით 15 წელია მსახურობს.

ათონის მთაზე ბოლო ქართველი მღვდელმონაზონი, სიმონ ბაღდავაძე, 1942 წელს პანტელეიმონის მონასტრის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

იმედინიუსი

ირაკლი კობახიძე: „ეროვნული დროშა სახელმწიფოსა და საზოგადოების ისტორიულ გზას გამოხატავს“

პარლამენტში საქართველოს სახელმწიფო დროშის დღესთან დაკავშირებით საზეიმო მიღება გაიმართა.

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ ეროვნული დროშა სახელმწიფოსა და საზოგადოების ისტორიულ გზას გამოხატავს.

– ჩვენ შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ საქართველოს დროშა ერთ-ერთი უძველესი დროშაა მსოფლიოში და წარმოადგენს არა ერთი სახელმწიფო წყობილების, ერთი ხელისუფლების, ერთი პარტიის, ან პოლიტიკური ჯგუფის სიმბოლოს, არამედ გამოხატავს მთლიანად ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების ისტორიულ გზას და იმ ღირებულებებს, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ეფუძნებოდა ჩვენი საზოგადოება და რაც აერთიანებდა მას საერთო ევროპულ ოჯახთან. ამ დროშას იცნობდნენ და იცნობენ მსოფლიოში და ღირს პატივს მიაგებენ მას, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ღონისძიებაზე გამოიფინა ყველა მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა, ასევე თვითმმართველი ქალაქების სიმბოლოები. ასევე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმიდან და ბიბლიოთეკიდან მოპოვებული პორტოლანები (საზღვაო რუკები), რომლებზეც საქართველო ისტორიული ხუთჯვრიანი დროშითაა გამოსახული.

ნიუპოსტი

ოზურგეთში სომეხი ბიზნესმენი დააყაჩაღეს — მამაკაცი საავადმყოფოშია

ქალაქ ოზურგეთში მცხოვრები 31 წლის არტურ სუკიასიანი 13 იანვარს დილით გრიბოედოვის ქუჩის მრავალსართულიანი კორპუსიდან, საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან, გამოსვლისას დააყაჩაღეს.

ახლობლების განცხადებით, ბიზნესმენს დილით თავს ორი ნიღბიანი ბოროტმოქმედი დაესხა, დაზარალებულმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, რის შემდეგაც სუკიასიანს თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს და შემდეგ, გონებადაკარგულს, ხელთ არსებული თანხა წაართვეს.

როგორც „ნიუპოსტთან“ ახლობლები აცხადებენ, დაშავებული ლილოს ბაზრობაზე მიემგზავრებოდა საქონლის ჩამოსატანად და მას თან 30 ათასი ლარი ჰქონდა.

სუკიასიანს ოზურგეთში რამდენიმე მაღაზია და საკუთარი ბიზნესი აქვს.

დაზარალებული მოთავსებულია ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში. მედიკოსთა თქმით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პოროშენკო რუსთავი 2-ს სიცრუის გავრცელებაში ადანაშაულებს

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ რუსთავი 2-ის გადაცემა „შაბათის კურიერში“ გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა.

პრეზიდენტის საიტზე განთავსებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ გამოქვეყნებული დოკუმენტები არის რუსეთის სპეცსამსახურის მიერ მომზადებული და შემოგდებული დაბალი დონის სიყალბე.

პრესსამსახურის განცხადებაში ნათქვამია, რომ ეფესბეს სიყალბეს ყველაზე მეტად ის ფაქტი ადასტურებს, რომ პეტრე პოროშენკოს შვილი, ალექსეი კიევში 2013 წლის სექტემბერში დაქორწინდა, გავრცელებულ დოკუმენტში კი, რომელიც 2007 წლით თარიღდება, პეტერბურგში მცხოვრები პოროშენკოს რძლის ნათესავებია მოხსენიებული.

– მოვუწოდებთ საინფორმაციო საშუალებებს, არ გაავრცელონ ყალბი ინფორმაცია, რომელიც აგრესორი ქვეყნის მხრიდან აშკარად დაკვეთილ ხასიათს ატარებს. იმ მედიასაშუალებების მიერ კი, რომლებმაც გადაუმოწმებელი ცნობა გაავრცელეს, საჯარო ბოდიშს ველით, – წერია პეტრე პოროშენკოს ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ნიუპოსტი

ცხინვალის ხელისუფლება სერბეთის პატრიარქმა მიილო

შორენა მარსაგიშვილი

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მეთაური ბალკანეთში ვიზიტს აგრძელებს. „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ რამდენიმე დღის წინ ანატოლი ბიბილოვმა შეხვედრები გამართა რესპუბლიკა სერბეთის ხელისუფლებასთან და მათთან თანამშრომლობაზეც მოაწერა ხელი.

როგორც ირკვევა, ბიბილოვი ბალკანეთში მხოლოდ საერო პირებთან შესახვედრად არ ჩასულა. ერთმორწმუნე რუსეთმა იზრუნა, რომ სამხრეთელ ოსთა ლიდერი სასულიერო პირებსაც შეხვედროდა.

ოსური მედიის ინფორმაციით, 13 იანვარს ბიბილოვი სერბეთის პატრიარქმა მიიღო. შეხვედრა პატრიარქ ირინეოსის რეზიდენციაში გაიმართა. ოსური მედიის განმარტებით, სერბეთის პატრიარქმა ბიბილოვი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაური, ისე მიიღო.

პრეზიდენტის პრესმდივან დინა გასიევას თუ დავუჯერებთ, ბიბილოვმა და სერბეთის პატრიარქმა ზოგადსაქრისტიანო საკითხები განიხილეს.

– სერბეთის პატრიარქის რეზიდენციაში გაიმართა ზოგადქრისტიანული საკითხების განხილვა, რაც ორმხრივი ინტერესის გამომხატველია. ანატოლი ბიბილოვმა განსაკუთრებით აღნიშნა მართლმადიდებლობის პრიორიტეტული როლი რესპუბლიკაში, რაც ასახულია სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციაში, – აღნიშნავს მედიასთან საუბარში დინა გასიევა.

ბიბილოვის გარდა, სერბეთის პატრიარქმა ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დელეგაციის სხვა წევრებიც მიიღო.

როგორც დინა გასიევა გვიამბობს, ირინეოსმა ბიბილოვსა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას მშვიდობა, სიკეთე და აყვავება უსურვა.

შეხვედრისას მასპინძელს ბიბილოვისა და კომპანიისთვის აუხსნია, რომ სერბეთში მართლმადიდებლობა განსაკუთრებულ როლს ასრულებს.

– შეხვედრის დროს მისმა უწმინდესობამ ხაზი გაუსვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებლურ ერთობას, – აღნიშნა ბიბილოვის პრესცენტრმა.

ოსური მედიის ცნობით, ბიბილოვს რესპუბლიკა სერბეთის დღესთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებებშიც მიუღია მონაწილეობა. სამხედრო აღლუმის გარდა, ის პატრიარქ ირინეოსის ლიტურგიასაც დასწრებია.

ოსური მხარე პატრიარქ ირინეოსთან შეხვედრით ძალიან კმაყოფილი და ბედნიერია.

კმაყოფილი იქნება ერთმორწმუნე რუსეთიც, რომლის პატრიარქმა კირილმა რამდენიმე თვის წინ მიიღო ანატოლი ბიბილოვი და მას სულ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ეძახა. არადა, რუსეთის საპატრიარქო აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ოფიციალურად საქართველოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს, არც მათ დამოუკიდებლობას აღიარებს.

ამ ზღაპრების არავის სჯერა, რადგანაც აფხაზეთშიც და სამაჩაბლოშიც რუსეთის საპატრიარქო ცუდად აფათურებს ხელებს. ცხინვალში ისინი რუსულ საკათედრო ტაძარს აშენებენ, აფხაზეთში რამდენიმე ძველი ქართული ეკლესია გადაღებეს რუსულ სტილში.

ამ ოკუპირებულ რეგიონში რუსეთის საპატრიარქო ისე თავხედურად იქცევა, რომ აფხაზეთის სამღვდელოება ორად გაიყო.

საქართველოს საპატრიარქო კი ამ ყველაფერს საერთოდ არ იმჩნევს. აქ, ეტყობა, პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოკუპირებული რეგიონები.

სახელმწიფო დეპარტამენტი მუხთარლის გათავისუფლებას მოითხოვს

მარიამ მჭედლიშვილი

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლისათვის ბაქოში გამოტანილი განაჩენი, როგორც მოსალოდნელი იყო, დასავლეთის სტრუქტურების კრიტიკის საგანი გახდა.

აზერბაიჯანი ეუთოს წინააღმდეგ

აფგან მუხთარლის ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა აზერბაიჯანის საზღვრის დარღვევის, კონტრაბანდის შეტანისა და ხელისუფლების წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით. მას გამოძიება თავიდანვე ამ ბრალდებებს უყენებდა.

ჟურნალისტი და მისი დაცვა განაჩენს არ ეთანხმებიან. დაცვის სიტყვებით, განაჩენი პოლიტიკური შეკვეთაა და ის გასაჩივრდება.

განაჩენში პოლიტიკური მოტივები აღმოაჩინა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, რომელმაც მოუწოდა აზერბაიჯანს, გაათავისუფლოს ჟურნალისტი. დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აშშ განაგრძობს თვალყურის დევნებას საქართველოში მიმდინარე გამოძიებაზე. გამოძიება აფგან მუხთარლის გატაცებას ეხება.

– კვლავინდებურად მოგიწოდებთ, რომ ის სრულყოფილი, გამჭვირვალე და ოპერატიული იყოს, – აცხადებს ვაშინგტონის ოფიციალური წარმომადგენელი.

მუხთარლის საქმის ოპერატიულად გამოძიების თხოვნით თბილისს ევროპარლამენტმა ჯერ კიდევ 15 ივნისს მიმართა. ევროპარლამენტმა თავის რეზოლუციაში მიუთითა, რომ საქართველო პასუხისმგებელია თავის ტერიტორიაზე მყოფი უცხოეთის მოქალაქეების, ასევე პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებლების დაცვაზე.

– ჟურნალისტ აფგან მუხთარლის მიმართ გამოტანილი განაჩენი ეფუძნება ყალბ ბრალდებებს და მიმართულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წინააღმდეგ, – აცხადებს ეუთოს წარმომადგენელი მასმედიის საკითხებში არლემ დეზირი.

იგი იმედოვნებს, რომ ვერდიქტი აპელაციის პროცესში გაუქმდება, მით უმეტეს, ამ საქმის გამოძიება საქართველოში დასრულებული არ არის.

ეუთოს წარმომადგენლის კრიტიკას გამოეხმაურა ბაქო. აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანაშემწე ალი ჰასანოვმა მას მიკერძოებული უწოდა. ჰასანოვის მტკიცებით, ეუთო არ ინტერესდება ჟურნალისტების ბედით ევროპის სახელმწიფოებში:

– ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ჟურნალისტების მიმართ რა არ დაიშვება – მათი საქმიანობა იზღუდება, ჟურნალისტებს აპატიმრებენ, სასტიკად ილახება ადამიანის გამოხატვის უფლება. სამწუხაროდ, ეს ფაქტები ვერ იპყრობს ეუთოსა და ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღებას, – ამბობს ალიევის წარმომადგენელი.

მისი მტკიცებით, აზერბაიჯანში სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლება უზრუნველყოფილია.

განაჩენამდე რამდენიმე დღით ადრე აფგან მუხთარლის უფლებები სხვა მხრივაც შეილახა. მას დაეღუპა და და ორი დისშვილი. ერთი ვერსიით, ამის მიზეზი გაზის ნამწვია, მეორე ვერსიით – კვებითი მოწამვლა. მუხთარლი ახლობლების დასაფლავებას არ დაასწრეს.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმე სახელწოდებით „აფგან მუხთარლი აზერბაიჯანისა და საქართველოს წინააღმდეგ“ პრიორიტეტულად აღიარა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ. მოგვიანებით მუხთარლის საჩივარი სტრასბურის სასამართლომ სხვა აზერბაიჯანელი ჟურნალისტების საქმეებთან გააერთიანა.

საერთაშორისო სტრუქტურები საქართველოსგან ისევ ელიან ობიექტურ გამოძიებას მუხთარლის საქმეზე. თავიდან გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებდა. მოგვიანებით საქმე პროკურატურამ ჩაიბარა. გამოძიებამ ჩვენებები ჩამოართვა მუხთარლის მეუღლე ლეილა მუსტაფაევას, როცა ის ჯერ ისევ თბილისში ცხოვრობდა. მოგვიანებით მუხთარლის ცოლ-შვილმა თავშესაფარი გერმანიაში იპოვა, გამოძიებამ კი ჯერჯერობით ვერაფერი თქვა. შსს-ს პირველადი შეფასებით, ქუჩაში არსებულ კამერებს არაფერი დაუფიქსირებიათ. ადრე თუ გვიან გამოძიებას მოუწევს დასკვნის დადება ამ საქმეზე.

მეუფე შიო: „ჩვენ ვულოცავთ მრევლს ახალ წელს როგორც ახალი სტილით, ასევე, ძველი სტილითაც“

– ჩვენ ვულოცავთ მრევლს ახალ წელს როგორც ახალი სტილით, ასევე, ძველი სტილითაც!

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანამოსაყდრე მეუფე შიომ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას განაცხადა.

– 14 იანვარს არის ძველი სტილით ახალი წელი. ჩვენ ვულოცავთ ჩვენს მრევლს ახალ წელს როგორც ახალი სტილით, ასევე, ძველი სტილითაც, იმიტომ, რომ ჩვენს ხალხში განსაკუთრებული სიყვარულია ძველი სტილით ახალი წლისადმი. ჩვენს ხალხში შემორჩენილია მეხსიერება იმ პერიოდისა, როდესაც ახალი წელი აღინიშნებოდა შობის შემდეგ და ახალი წლის მთელი შინაარსი დატვირთული იყო საშობაო სიმბოლიკით, სიხარულით, მნიშვნელობით. ეს ახალ წელს სძენდა განსაკუთრებულ ელფერს და საზეიმო განწყობას, რაც ჩვენ გვახსოვს და ამიტომ ამ დღეს ყოველთვის აღვნიშნავთ და დღესაც გილოცავთ დიდი სიხარულით, – განაცხადა მეუფე შიომ და ისურვა, ეს წელი ყოფილიყოს მადლიანი მთელი ერისთვის.

ინტერპრესნიუსი

გია ვოლსკი: „აფგან მუხთარლის საქმეზე მაქვს კითხვები“

– ჟურნალისტ აფგან მუხთარლის საქმეზე მაქვს კითხვები გამოძიებისადმი, კონკრეტული პოლიტიკური შეფასებაც მაინტერესებს!

ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა გია ვოლსკიმ განუცხადა.

– წლების განმავლობაში ჟურნალისტი მუშაობდა საქართველოში, მუშაობდა აზერბაიჯანის პოლიტიკური ხელისუფლების საწინააღმდეგოდ და ამის თაობაზე არავის გვსმენია. ადამიანი ცენტრიდან გაიტაცეს და არც ერთი მოწმე არ აღმოჩნდა და არც ერთ ჩანაწერში ეს არ ფიგურირებს. გარკვეულ ეჭვებს ბადებს ის ბრალდებები, რომელიც აფგან მუხთარლის მეუღლის მხრიდან გაისმის. დიდი იმედი მაქვს, რომ გამოძიებაში ჩახედული, კომპეტენტური პირები უახლოეს პერიოდში მეტ განმარტებას მოგვცემენ. რაც შეეხება აზერბაიჯანის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მე არც კომპეტენტური ვარ და არც ჩემი პოზიციიდან მმართებს ამის შეფასება, – განუცხადა ჟურნალისტებს გია ვოლსკიმ.

ვოლსკის აზრით, გამორიცხულია მუხთარლის საქმეზე პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ ეკისრებოდეს. დეპუტატმა ამ კონტექსტში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუხთარლი საკმაოდ დიდი ხანი, მათ შორის „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, მშვიდად ცხოვრობდა საქართველოში.

– მის მიმართ არც პრეტენზია ყოფილა და არც მისი სახელი გაგვიგია, როგორც რაღაც პოლიტიკური მოღვაწის, – დასძინა ვოლსკიმ.

ინტერპრესნიუსი

ბიტკოინის ციებ-ცხელება საქართველოში

მომავლის ფული თუ დამოკლეს მახვილი – რა საფრთხეებს შეიცავს კრიპტოვალუტა

რა არის ბიტკოინი?

რამდენიმე წლის წინ ციფრულ სამყაროში ახალი ოქროს ციებ-ცხელება დაიწყო, თუმცა ამჯერად მოსაპოვებელ ძვირფას ლითონად ვირტუალურ სამყაროში არსებული კრიპტოვალუტა, ანუ ბიტკოინები იქცა.

ბიტკოინმა 2018 წლის იანვარში სენსაციურ კურსს, 14.350 აშშ დოლარს მიაღწია. მათთვის, ვინც ბიტკოინებს იძენს, ხვალისთვის ორი ალტერნატივა არსებობს: ის შეიძლება მომავლის ფული გახდეს ან საერთოდ არანაირი ღირებულება გააჩნდეს.

ციფრული ვალუტა, იგივე კრიპტოვალუტები, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში იქმნებოდა, მაგრამ კონტროლდებოდა მესამე მხარის (მთავრობა, ინსტიტუტები) მიერ.

პირველი დეცენტრალიზებული ვალუტა, ბიტკოინები, 2009 წელს გამოჩნდა. ბიტკოინები დაფიქსირებულია მომხმარებლის ელექტრონულ საფულეში. მათი დახმარებით შესაძლებელია კრიპტოვალუტის შენახვა, ხარჯვა და გადარიცხვა.

ფინანსური ტრანზაქციები ხორციელდება უზარმაზარ მონაცემთა ბაზაში, ე.წ. ბლოკჩეინში, რომელიც შედგება ერთმანეთთან ურთულესი მათემატიკური ოპერაციებით დაკავშირებული ბლოკებისაგან. მასში ათიათასობით კომპიუტერული მოწყობილობაა გაერთიანებული, რაც იცავს სისტემას კიბერშეტევებისაგან და არსებობს იმის გარანტია, რომ რომელიმე ძალა მის მთლიანად გაკონტროლებას ვერ მოახერხებს.

რა არის მაინინგი?

ბიტკოინების მოსაპოვებლად ხორციელდება მაინინგი, რაც გულისხმობს ძლიერი კომპიუტერული ოპერაციების სანაცვლოდ ბიტკოინების მიღებას. მაინინგისთვის გამოიყენება იმდენად ძლიერი კომპიუტერები, რომ მათი სიმძლავრე რამდენიმე ათასჯერ აღემატება მსოფლიოს ტოპ 500 სუპერკომპიუტერის გამოთვლით შესაძლებლობებს. მაინერებს კომპიუტერებთან ერთად შეუძლიათ გამოიყენონ ანდროიდებიც.

ბიტკოინებით დაინტერესებული ადამიანები მას ისე უყურებენ, როგორც ინვესტირების ფორმას, ოქროს მსგავსად. მათ სანაცვლოდ შესაძლებელია სხვადასხვა ეროვნული ვალუტის შე-

ძენა.

ზოგიერთი კომპანია თავის მომხმარებლებს ბიტკოინების სანაცვლოდ უკვე სთავაზობს საკუთარ პროდუქციას. მათ შორის იყო „მაიკროსოფტი“, მაგრამ მან უკვე შეწყვიტა კრიპტოვალუტის პირდაპირი გადახდით მიღება. ამის მიზეზად მისი რისკები დასახელდა, რის გამოც შესაძლოა ანგარიშსწორების დროს კომპანიას ზარალი მიადგეს. ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღეს სხვა მსხვილმა კომპანიებმაც.

როგორ ძვრებიან თქვენს კომპიუტერებში

ინტერნეტსივრცეში მრავლად შეხვდებით საიტებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც უფასო ბიტკოინების დაგროვებას სთავაზობენ ინტერნეტმომხმარებლებს. ეს საიტები გამოიყენება მაინინგისათვის, ანუ მომხმარებლის პროცესორის სიმძლავრეს რთავს ბლოკჩეინის სისტემაში და იყენებს ახალი კრიპტოვალუტის შესაქმნელად.

საიტები რეკლამების ნახვის ან სიმძლავრის გამოყენების სანაცვლოდ ბიტკოინების მეასემილიონედს, სატოშებს რიცხავს ელექტრონული საფულის მისამართზე (1 სატოში 0.00000001 ბიტკოინია).

მაინერები, როგორც წესი, ამის შესახებ მომხმარებლებს აფრთხილებენ, მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ თქვენ დამოუკიდებლად მიმდინარეობდეს მაინინგის პროცესი, ანუ თქვენს კომპიუტერებში ისე შემოძვრნენ, რომ ამის შესახებ არც იცოდეთ.

უნებართვო მაინინგი განსაკუთრებით ხშირია საიტებსა და აპლიკაციებში, რომლებიც მათი უფასოდ სარგებლობის საშუალებას იძლევიან.

ფეხებზე გამობმული საფრთხე

ასეთი შეიძლება იყოს ფიტნესაპლიკაციები, რომლებიც სხვადასხვა კრიპტოვალუტას გთავაზობენ იმის მიხედვით, რამდენ ნაბიჯსაც გადადგამ. ქართველი ფეისბუქმომხმარებლები ბოლო დროს ხშირად წერენ, რომ გადმოწერეს აპლიკაცია, რომელიც მათ ნაბიჯებს ითვლის და ამით ბიტკოინებს გამოიმუშავებენ. ხუმრობენ კიდეც, ქართველ ფეხბურთელებს „გამოვაბათ“ ფეხებზე, სხვას ვერაფერს აკეთებენ და ბიტკოინები მაინც გამოიმუშავონო.

ბევრმა ტელეფონებში უკვე დააყენა ფიტნესაპლიკაცია, თანაც ისე, რომ არ სვამს კითხვას, რატომ მისცემენ ბიტკოინებს მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებში. საქმე ის არის, რომ დიდი შანსია, მაინინგისთვის ტელეფონების, ანდროიდების სიმძლავრეებს იყენებდნენ ვირტუალური ფულის შესაქმნელად. ამის შესახებ კი ფიტნესაპლიკაციების რეკლამებში არაფერია ნათქვამი.

ჩნდება ლოგიკური კითხვა: თუკი შესაძლებელია მაინინგისთვის თქვენი კომპიუტერებისა და ტელეფონების გამოყენება, ანუ თუ რთავთ ნებას, რომ თქვენი პროცესორებისა და ანდროიდების სიმძლავრეებით ისარგებლონ, ხომ შეიძლება, ასე თქვენი კომპიუტერები და ტელეფონებიც გააკონტროლონ, ანუ ვიღაცებს თქვენი პირადი მონაცემები ჩაუვარდეთ ხელში.

კრიპტოვალუტა „რულეტკებით“

ასევე შეხვდებით საიტებს, რომლებიც დავალებების შესრულებას გავალებენ ან ლატარიისა და „რულეტკის“ პრინციპით

ათამაშებენ მოპოვებულ კრიპტოვალუტებს, რასაც ფაქტობრივად ვირტუალური ფულით გემბლინგის (აზარტული თამაშები) ფორმა აქვს. მიღებული.

ცნობილია ისიც, რომ მალტამ გასული წლის ნოემბერში შეიმუშავა გეგმა კრიპტოვალუტების ლეგალიზების შესახებ, რომლის მიხედვით, კრიპტოვალუტის გამოყენება მოხდება ონლაინკაზინოებსა და ტოტალიზატორებში.

ვინ დგას ბიტკოინების უკან

პირველი ბიტკოინების შექმნა სატოში ნაკამოტოს სახელს უკავშირდება, მაგრამ ამ დრომდე უცნობია, რეალურად ვინ ან რა შეიძლება იდგეს ამ ფსევდონიმის მიღმა. მან შექმნისთანავე დაანწესა კრიპტოვალუტის ლიმიტი – 21 მილიონი ბიტკოინი, ანუ ეს არის მაქსიმალური რაოდენობა, რომლის მოპოვებაც შესაძლებელი იქნება კომპიუტერული მაინინგით.

ნაკამოტოს მფლობელობაში 1 მილიონი ბიტკოინია, რაც დღეისათვის დაახლოებით 14.2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ იდუმალ შემქმნელს აქვს ბიტკოინების უდიდესი რეზერვი, რომლის საშუალებითაც შეუძლია, ბაზარზე კონტროლი დაამყაროს.

იმ შემთხვევაში, თუკი სატოში ნაკამოტოს ფსევდონიმით მოთამაშე ვიღაც ან რაღაც ბაზარზე მიწოდებას გაზრდის, ბიტკოინების ფასი შეიძლება კატასტროფულადაც დავარდეს.

სატოში ნაკამოტოს ანონიმურობა კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვებს, რომ ბიტკოინები თავიდანვე გამიზნული იყო სპეკულაციური საქმიანობებისათვის.

მილიონები 12 დოლარად – უმდიდრესი მოსწავლე

2010 წელს ბიტკოინის ფასი შეადგენდა 0.003 აშშ დოლარს. მას შემდეგ, მერყეობის მიუხედავად, კურსი მკვეთრად იზრდებოდა და დღეს უკვე რამდენიმე ათასი აშშ დოლარია.

2011 წელს, როცა 1 ბიტკოინი მხოლოდ 12 აშშ დოლარი ღირდა, მოსწავლე ერიკ ფინმანმა მათში ფულის ინვესტირება გადაწყვიტა, შედეგად კი 18 წლის ასაკში მილიონერი გახდა.

2010 წლის მაისში დეველოპერმა 10.000 ბიტკოინად ორი პიცა შეიძინა, დღევანდელი კურსით კი ამ ფასად 142 მილიონ დოლარამდე აშშ დოლარის მიღება შეეძლებოდა.

სპეკულაციები და გარანტიები

კრიპტოვალუტები ზოგისთვის – სპეკულაციების საგანი, ზოგისთვის კი კაცობრიობის განვითარების ლოგიკური გაგრძელებაა. ექსპერტების შეფასებები ბიტკოინებთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. ბევრს ის მიაჩნია ბუშტად, რომელიც ძალიან მალე გასკდება, ბევრი კი მასში გადახდის ახალ, დეცენტრალიზებულ საშუალებას ხედავს და მოელის, რომ 2018 წელს კურსი დაახლოებით ათჯერ, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ კიდევ უფრო დიდი პროგრესით გაიზრდება.

სპეკულაციური ოპერაციების გამო სავალუტო ბაზარზე ბიტკოინები მერყევი კურსით ხასიათდება. არავინ იცის, რა იქნება მათი ფასი ბაზარზე შემდეგი დღისთვის. არ არსებობს გარანტიები, რომლებიც ადამიანს გაკოტრებისგან დაიხსნის. კურსის ზრდის შემთხვევაშიც კი ყველას არ შეეძლება სარგებლის მიღება.

ბიტკოინების განსაზღვრული რაოდენობა არსებობს, რომლებიც რამდენიმე მფლობელის ხელშია კონცენტრირებული.

ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, ბიტკოინების საერთო რაოდენობის 95% მათი მფლობელების ძალიან ცოტა ნაწილს, მხოლოდ 4%-ს ეკუთვნის. ეს გვაფიქრებინებს, რომ თუ ტრენდი გაგრძელდება და გაცვლის კურსი აიწევს, ამ შემთხვევაშიც, დიდი კონკურენციის გამო, ძალიან ცოტა გამარჯვებული იქნება.

გაფრთხილება!

სახელმწიფოს მმართველები ალბათ ვეღარ შეეგუებიან იმ ვალუტის არსებობას, რომელსაც ვერ აკონტროლებენ. ისინი უკვე სერიოზულ გაფრთხილებებს იძლევიან.

აშშ-ის ხელისუფლება აცხადებს, რომ ბიტკოინები ხშირად გამოიყენება კრიმინალური აქტივობებისთვის. ამერიკის მთავრობა ჯერ კიდევ 2013 წლიდან აფრთხილებდა მომხმარებლებს ინვესტიციის კონსპირაციული სქემების შესახებ.

გაფრთხილებებს იძლევა საქართველოს ეროვნული ბანკიც. მისი განცხადებით, საქართველოს მოქალაქეები უნდა მოერიდონ ბიტკოინებით ვაჭრობას, რადგან ტრანზაქციებისთვის არ არსებობს რეგულაციები და მომხმარებლების მფლობელობაში არსებულ ელექტრონულ ფულს გაურკვეველი სამართლებრივი სტატუსი აქვს.

ასევე, ვირტუალური ვალუტის ანონიმურობა მას მიმზიდველს ხდის არაკანონიერი საქმიანობებისთვის, როგორიცაა ფულის გათეთრება და ა.შ.

ამერიკის ფინანსთა მინისტრი სტივ მნუჩინი გამოთქვამს შეშფოთებას იმის გამო, რომ „ცუდმა ხალხმა არ შეძლოს ვალუტის გამოყენება ცუდი საქმეების გასაკეთებლად“.

მნუჩინის აზრით, კრიპტოვალუტების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა გაიმართოს დიდი ოცეულის სამიტი, რომელიც მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებებს და ხელს შეუშლის პროცესის გაძლიერებას.

ცხადია, სახელმწიფოს მესვეურები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ხელიდან არ გაექცეთ მართვის სადავეები. თუკი დიდი სახელმწიფოების მთავრობები შეთანხმდებიან, მათ შეუძლიათ, გააუფასურონ ან შეუძლებელი თუ არა, ძალიან რთული მაინც გახადონ ბიტკოინებით ვაჭრობა.

„ამის უკან შეიძლება იდგეს მაფიოზური სინდიკატი!“

საერთოდ, კრიპტოვალუტები ძალიან ბევრ ეჭვს ბადებს საზოგადოებაში. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის პროფესორი არჩილ იაკობაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ბიტკოინის შესახებ წერს:

– ბიტკოინი არ წარმოადგენს არც უცხოურ ვალუტას, არამედ ბიტკოინი არის მაქსიმუმ ციფრული ვალუტა, რომლის გამომუშავებაში წარმოების ფაქტორის როლს ასრულებს მხოლოდ ციფრული ინფორმაცია.

ე.ი. ეკონომისტის ენაზე ბიტკოინის წარმოების ფუნქციაში ცვლადების სახით ვერ გამოვიყენებთ ვერცერთ რაოდენობრივ წარმოების ფაქტორს – ვერც კაპიტალს, ვერც სამუშაო ძალას და ვერც ბუნებრივ რესურსს, მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

ბიტკოინი შეიძლება განხილულ იქნეს ფინანსურ ინსტრუმენტად, მაგრამ ის სუვერენული ფული ვერასოდეს გახდება. მის უკან არ დგას არცერთი სუვერენული სახელმწიფო, მაგრამ მის უკან, სავსებით შესაძლებელია, იდგეს საერთაშორისო მაფიოზური სინდიკატი, რომლისთვისაც ციფრული ვალუტა ხელუხლებელ პლატფორმას წარმოადგენს ფულის გათეთრებისა და გადასახადების გადამალვის მიზნით.

2017 წლის დეკემბერში ბიტკოინის კურსის აღმაფრენა, რომლის ღირებულება აშშ-ის სუვერენულ ვალუტაში, დოლარში იზომება, განაპირობა ჩიკაგოს ბირჟაზე ბიტკოინის ფორვარდული კონტრაქტებით ვაჭრობის დაშვებამ.

საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე მოელოდნენ, რომ ბიტკოინის კომპანიის ფინანსური მონაცემები გახდებოდა საჯარო, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა, ამიტომაც ბიტკოინის კურსი ახლა ეცემა.

დღეს ბიტკოინის კომპანია დგას არჩევანის წინაშე: ან მის შესახებ ყველა სახის ინფორმაცია გახდება სრულად საჯარო, რათა ბიტკოინმა რიგითი ფინანსური აქტივის სტატუსი მიიღოს, ან ბიტკოინის ღირებულება განულდება.

ბიტკოინის შესახებ არასრულყოფილი ინფორმაციის ფონზე ვთხოვთ, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და სტუდენტებს, ნუ აჰყვებიან „სწრაფი მოგების“ ცდუნებას, რომელსაც, სხვა ყველაფერთან ერთად, ხელს უწყობენ და ავრცელებენ თვითმარქვია და უვიცი ექსპერტები, – წერს იაკობაშვილი და იქვე, კომენტარებში ამატებს:

„ციფრული ვალუტები არის ფინანსური სექტორის ახალი და საინტერესო სეგმენტი. თუმცა მისი განვითარებისთვის აუცილებელია ნდობა, რაც ძნელად მიღწევადია ბიტკოინის ირგვლივ მწირი ინფორმაციის პირობებში და სხვა კრიპტებსაც ჩათრევით ემუქრება.

ჩემი აზრით, ბიტკოინი გასულია კონტროლიდან, გამომგონებელსაც აღარ აინტერესებს მისი მომავალი... გთხოვთ, ბიტკოინს, როგორც რეალურ აქტივს, იქნებ ერთი ფოტო მაინც გადაუღოთ და გვაჩვენოთ – გვაინტერესებს, როგორ გამოიყურება. „ბლოკჩეინების არის მომავალი“ – ჩემი აზრით, ეს თეზა ძალაშია დღესაც, ხვალაც, ძალაში იყო გუშინაც, ერთი და ათი საუკუნის წინაც. ბლოკჩეინები ვართ ნებისმიერი ცოცხალი არსებაც, ოღონდ ბუნებრივი ბლოკჩეინები და არა ციფრული“.

რა ხდება საქართველოში

ბიტკოინის ბაზრის მსხვილი მოთამაშეები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მონაცემთა გადამუშავების ცენტრი გახსნან, სადაც ბევრი სერვერი განთავსდება. სწორედ სერვერების რაოდენობა განსაზღვრავს იმას, თუ რამდენი ტრანზაქციის შემოწმებას შეძლებს ესა თუ ის ფიზიკური ან იურიდიული პირი დროის გარკვეულ მონაკვეთში და რამდენ ახალ ბიტკოინს მოიპოვებს ამის შედეგად.

„ბიტფურომ“, ბიტკოინის მწარმოებელმა კომპანიამ, რომელმაც ათეულობით მილიონი დოლარის დაფინანსება მიიღო ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით შექმნილი საქართველოს თანაინვესტირების ფონდიდან, მთელ მსოფლიოს განუცხადა, რომ 100 მლნ აშშ დოლარს დახარჯავს თბილისში ინფორმაციის გადამამუშავებელი ცენტრის ასაშენებლად.

სახელმწიფომ კომპანია „ბიტფურის“ პროექტის განსახორციელებლად 185 ათასი კვ.მ. მიწის ნაკვეთი 1 ლარად გადასცა. კომპანია ამ ტერიტორიაზე ცენტრთან ერთად ტექნოლოგიური პარკის მოწყობასაც გეგმავს“, – წერდა ქართული პრესა 2 წლის წინ.

დღეს ეს ცენტრი უკვე ფუნქციონირებს თბილისში, გლდანში. ასეთივე ცენტრი, ოღონდ მცირე მასშტაბის, გორშიც არსებობს. არის დღეები, როცა „ბიტფურის“ შემოსავალი 200 ათას დოლარზე მეტია.

ოპოზიციური პარტიები აცხადებენ, რომ „ბიტფური ჯგუფის“ პარტნიორი გორისა და გლდანის დატა ცენტრებში ბიძინა ივანიშვილია. „საქართველოს თანაინვესტირების ფონდი“ მათ ბრალდებებს ასე გამოეხმაურა:

გაგრძელება მე-10 გვერდზე

„კეზერაშვილი იმ მოსამართლემ გაამართლა, რომელიც ოთო აბესაძეს აღკვეთის ღონისძიებას არ უცვლის“

შალვა ხაჭაპურიძე: „ვიცი, სამოქალაქო საქმეებზე რაც ხდება, როგორ ყველგან აგებინებენ კეზერაშვილს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი, უფლებადამცველი **შალვა ხაჭაპურიძე** პასუხობს.

– ბატონო შალვა, დავით კეზერაშვილი სასამართლომ კიდევ ერთ საქმეში გაამართლა. თქვენ ამ საქმის ადვოკატი ხართ და რის თქმა შეგიძლიათ?

– ეს საკმაოდ ცნობილი კოჰაბიტაციის შედეგია ზოგადად. თუ ისეთი სიტუაცია და გარემოება არ არის, სადაც იძულებულია ხელისუფლება, რომ გაასამართლოს ვინმე, სხვა შემთხვევაში ხდება ამ ყველაფრისთვის გვერდის ავლა. თუნდაც ისეთი გამოუვალი მდგომარეობა, როგორიც შეიქმნა სააკაშვილის შემთხვევაში. აქ არის აშკარად გამოუვალი მდგომარეობა, ამიტომ სააკაშვილთან დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. კეზერაშვილი თავიდანვე სხვა რეჟიმში იყო ჩაყენებული.

– რატომ, ან რა სხვა რეჟიმს გულისხმობთ?

– ეს კაცი იყო ამ პარტიის მთავარი ხაზინადარი. ამას თავად ნაციონალური მოძრაობაც ამბობს. როგორც ჩანს, ამ კაცისთვის ბევრი ისეთი ინფორმაციაა ცნობილი, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც აქეთა, ისე

იქითა მხარისთვის.

– ორივე მხარეს ჰყავს მფარველები?

– როგორც ჩანს, ასეა. სხვანაირად როგორ ავხსნათ ამდენი გამამართლებელი განაჩენი. საქართველოს ისტორიაში კი არა, მე მგონი, მსოფლიოში არ იქნება პიროვნება, რომელზეც ამდენი ბრალი იყო წარდგენილი და მერე ამდენი გამამართლებელი განაჩენი დამდგარი.

– ყველა საქმეში გამართლდა?

– კი, ყველაში გამართლდა. თუ არ ვცდები, დარჩენილია ერთი საქმე, თუ არ ვცდები, 7 ნოემბრის და დამიჯერეთ, იმაშიც გამართლდება. მე ვიტყოდი, რომ კოჰაბიტაციას გასცდა ეს კონკრეტული შემთხვევა. მოვა ის დროც, როდესაც დადგება იმ ხალხის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც უშუალოდ გარიგება მოახდინა კეზერაშვილის საქმეზე.

– და ვინ მოახდინა ეს გარიგება?

– გარიგებასთან გვაქვს საქმე. ამაზე ნაცმოძრაობის ლიდერმა ნიკა მელიამაც ხმამაღლა განაცხადა, სანაცვლოდ იმისა, რომ კეზერაშვილის მიმართ გამოვიდეს გამამართლებელი განაჩენი და მან მოიგოს ყველა დავა, მას დაევალა გიგა ბოკერიას პარტიის დაფინანსება. ეს არის მთელი გარიგების არსი.

– ბოკერიაა ამ საქმის შუამავალი? ითქვა ისიც, რომ ბოკერიას ივანიშვილთან კარგი ურთიერთობა აქვს.

– რა თქმა უნდა! რაც შეეხება ურთიერთობებს, არ ვიცი, ბოკერიას ვისთან აქვს კარგი ურთიერთობა და ვისთან არა აქვს. ფაქტია, რომ ის ყველა საქმეში გამართლდა. ყოველდღიური შეხება მაქვს სასამართლოსთან და ვიცი, სამოქალაქო საქმეებზე რაც ხდება, როგორ ყველგან აგებინებენ კეზერაშვილს. ამას კოჰაბიტაციასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს არ არის პოლიტიკური პროცესი. ეს რომ პოლიტიკური პროცესი იყოს, გავიგებდი, რა თქმა უნდა.

– მაშ, რასთან გვაქვს საქმე?

– არაფერი განსაკუთრებული. ეს არის მექრთამეობა და დანაშაული. სხვა სახელს ვერ დავარქმევ ამას. შეიქმნა სურათი, რომ ვითომ მტკიცებულებები არ არსებობს, ვითომ კეზერაშვილი არაფერ შუაში არ არის და ასე შემდეგ. მე არ მგონია, რომ ეს მთლად მაღალ ეშელონებში გადაწყვეტილიყო.



– მხოლოდ სასამართლო დამოუკიდებლად მიიღებდა ასეთ გადაწყვეტილებებს?

– დღეს სასამართლო არის აბსოლუტურად პარალიზებული. ჩათვალეთ, რომ დღეს საქართველოს სასამართლო არ ჰყავს! არ ვგულისხმობ რამდენიმე, თითზე ჩამოსათვლელ პატიოსან მოსამართლეს, რომელიც სისტემაში მუშაობს. ისე მიდის საქმე, რომ მალე ალბათ იმათაც დაატოვებინებენ სასამართლოს.

– ამხელა რეფორმა, მესამე, მეოთხე ტალღა – ეს ყველაფერი არაფერს ნიშნავს?

– კარგით რა, რა ტალღა, რის ტალღა! ეს არის ხალხის მოსატყუებლად. ვინც მოუტყუებიათ, ისევ ისინი მოატყუონ! გადით და ჩაატარეთ გამოკითხვა საზოგადოებაში, ნდობა არის ნული! როდესაც მურუსიძე დანიშნეს სასამართლოს უფროსად, იქ დაესვა წერტილი ამ სისტემის იმიჯს. თუმცა ეს პროცესი მერე კიდევ უფრო გაღრმავდა. შევარდნაძის დროს არსებობდა რაღაც სისტემა, სააკაშვილის დროს რაც იყო, ყველამ კარგად ვიცით. დღეს ეს სისტემა აღარ არის, სიცარიელეა. სააკაშვილის დროს რაც იყო, ისიც დაიშალა.

– აბა, ახლა რა გვაქვს სასამართლოს ნაცვლად?

– რა დავარქვა ამას, არ ვიცი. ეს სამართლებრივ ჭრილში არანაირად არ ჯდება. მოსამართლე, რომელმაც კეზერაშვილი გაამართლა, ოთო აბესაძის საქმეს იხილავს. კაცი კვდება ციხეში, იმას აღკვეთის ღონისძიებას არ უცვლის და კეზერაშვილს ამართლებს. სასამართლო სისტემაზე შეიძლება აქ საუბარი?! ასეთი ტიპის სასამართლო შეიძლება ქვეყანაში არსებობდეს?! ჩადენილიც რომ ჰქონდეს ოთო აბესაძეს ეს დანაშაული და აღებული ჰქონდეს ის ფული, ამისთვის კაცი უნდა მოკლა ციხეში?!

ამ სისტემაში ყველაფერი ნულიდან არის დასაწყები. ბალავარიც თავიდან არის ჩასაყრელი და ყველაფერი თავიდანაა გასაკეთებელი. რა მესამე ტალღა და მეოთხე ტალღა, ეს ზღაპრები სხვაგან მოყვნენ. ასე ვერ გაგრძელდება. ქვეყანა წინ მიდის და სიტუაცია აუცილებლად უნდა შეიცვალოს. დააკვირდით, რამდენი ახალგაზრდა მიდის ევროპაში სასწავლებლად. ეს ხალხი უკან დაბრუნდება და ევროპაში განათლებამიღებული ახალგაზრდობა ამ მარაზმს ვერ შეეგუება. განათლებული თაობა ასეთ სიბნელეს ვერ აიტანს.

– თუ დაბრუნდნენ, კი...

– ეს კიდევ მეორე საკითხია. დიდი თემაა და განათლებაში რაც ხდება, ესეც მარაზმია. ძალიან კარგი იქნება, მედია თუ დაინტერესდებით მაღალი თანამდებობის პირების განათლებით, სად რა განათლება აქვთ მიღებული.

– კონკრეტულად გულისხმობთ ვინმეს?

– არ მინდა, გვარები დავაკონკრეტო. ერთ მაღალი თანამდებობის პირს განათლება რა უწერიათ, იცით? თვითონ მიხვდება, რომ წაიკითხავს, მასზე რომ ვსაუბრობ... მაგისტრატურა დაამთავრა ზუგდიდის უმაღლეს იურიდიულ სკოლაში... აბა, რა გითხრათ. რამხელა თანამდებობაზე მუშაობს, იცით, ეს პიროვნება?! და როგორ აპიარებენ მას?! როგორც გავარკვიე, იმ სკოლაში ერთხელაც არ არის მისული. ახლა არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო ზუგდიდის უმაღლეს იურიდიულ სკოლას, მაგრამ გამგები გაიგებს, რას ვგულისხმობ. აი, ასეთ დღეში ვართ. ასეთი განათლებული მოსამართლეები რომ გეყოლება, მერე აღარაფერი უნდა გაგიკვირდეს!

„ტორიაშვილი შეეცადა, კარისკენ წასულიყო, მაგრამ ქისტაურმა კიდევ ერთი ტყვია ესროლა, შემდეგ ყელი გამოსჭრა“ — 19 წლის ბიჭის სასტიკი მკვლელობის უცნობი დეტალები

ახალი წლის წინა დღეებში (29 დეკემბერი) თბილისში მომხდარმა საზარელმა მკვლელობამ საზოგადოება შეძრა. 19 წლის დავით ტორიაშვილის დასახიჩრებულ ცხედარს მხოლოდ 10 დღის შემდეგ მიაგნეს. სასტიკ დანაშაულში ბრალდებული 27 წლის ნიკოლოზ ქისტაურია.

როგორც ირკვევა, 19 წლის ბიჭის სადისტურ მკვლელობას თვითმხილველები ჰყავდა. თუმცა პირთა ფართო წრემ გამოძიებასთან არ ითანამშრომლა. სწორედ ამიტომ სამართალდამცავებმა ნიკოლოზ ქისტაურთან ერთად ბრალი სხვა ადამიანებსაც წაუყენეს და დააკავეს.

ქისტაურის მეგობარ ქალს ნატო მელქაძესა და გიორგი იობიძეს დანაშაულის დაფარვა ედებათ ბრალად. სასამართლომ მათაც წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, ხოლო სამ პირს: ირაკლი შენგელიას, რუსლან ხორგუანსა და ზაზა ლაგვილავას დანაშაულის შეუტყობინებლობა – ისინი წაყენებულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ცნობენ. სასამართლო პროცესზე პროკურორმა მათთვის არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენება მოითხოვა და სამივე ბრალდებულს 2.000-2.000 ლარიანი გირაო შეეფარდა.

„კვირის პალიტრა“ საქმის მასალებზე დაყრდნობით წერს, რომ მოკლული და ბრალდებული ერთმანეთს იცნობდნენ. იმ საბედისწერო დღეს დათო ტორიაშვილი ორთაჭალაში, წითლანაძის 19 ნომერში სტუმრად მივიდა. სწორედ იქ ჰქონდა ქისტაურს ნაქირავები ბინა, სადაც მოხდა მკვლელობა.

გამოცემის ცნობით, 29 დეკემბერს იქ სუფრა იყო გაშლილი. ქისტაურთან და ტორიაშვილთან ერთად სუფრასთან იმყოფებოდა ქისტაურის რამდენიმე მეგობარი. ბიჭები ერთად სვამდნენ, მოკლულსა და ბრალდებულს შორის კონფლიქტი სუფრასთან დაიწყო და სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

გამოძიება არ აკონკრეტებს, კონკრეტულად რა საკითხზე იკამათეს ახალგაზრდებმა. ბრალში აღნიშნულია, რომ კონფლიქტის დროს შურისძიების მოტივით ქისტაურმა განიზრახა ტორიაშვილის მკვლელობა, აიღო დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეძენილი გადაჭრილი სანადირო თოფი და იქვე, მეგობრების თვალწინ, ესროლა ტორიაშვილს.

თვითმხილველთა თქმით, დაჭრილი ტორიაშვილი შეეცადა, კარისკენ წასულიყო და იქაურობას გასცლოდა, მაგრამ კართან მისულს კიდევ ერთი ტყვია ესროლა. ბიჭი იქვე ჩაიკეცა, არც ამას დასჯერდა დამნაშავე, ამის შემდეგ დანით სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, ყელი გამოსჭრა.

მიყენებული ჭრილობებით ახალგაზრდა ადგილზე გარდაიცვალა.

ამის შემდეგ ბრალდებული კვალის დაფარვას შეუდგა, მეგობრები იხმო შემთხვევის ადგილზე. ჩვენი ინფორმაციით, სამართალდამცავებს არ დაუკავებიათ მკვლელობის თვითმხილველი პირები, რადგან ისინი არასრულწლოვნები არიან. თუმცა ყველა მათგანი დაკითხულია. საქმის ერთ-ერთი ადვოკატის თქმით, „ისინი ამბობენ, ქისტაური მოკვლით დაგვემუქრა, თუ რამეს ვიტყოდითო“. არასრულწლოვნები ამბობენ, მისი შეგვეშინდა და ამიტომაც ვერ გავბედეთ მომხდარის გახმაურებაო.

გამოძიების მასალების მიხედვით, ქისტაურს არცერთი მათგანი არ დახმარებია. ისინი შემთხვევის ადგილიდან წავიდნენ.

ამის შემდეგ ქისტაურმა დახმარებისთვის სხვა მეგობრებს მიმართა. მის ბინასთან მისულებს უთხრა, რომ კაცი ჰყავდა მოკლული და სთხოვა, ცხედრის გადამალვაში დახმარებოდნენ. არცერთი მათგანი მის წინადადებას არ დათანხმდა. თუმცა ცხედარი ბიჭებმა ნახეს. კვალის დაფარვას თავად შეეცადა ბრალდებული. გამოძიების მასალებით, მოკლული ბიჭი ხელში აიყვანა ქისტაურმა და იქვე, ხევში გადააგდო. ამის შემდეგ მოასუფთავა შემთხვევის ადგილი და სისხლიან ნივთებს, კვალის დაფარვის მიზნით, ცეცხლი წაუკიდა.

სასამართლომ 9 თვის ორსული ცოლის ცემისთვის მამაკაცს 10 თვე მიუსაჯა

რუსთავის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყოფილი მეუღლის მიმართ ძალადობაში ბრალდებული ჰ.მ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობას, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 19 ოქტომბერს, დაახლოებით 19:00 საათზე, ჰ.მ.-მ ქ. გარდაბანში, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში, ეჭვიანობის ნიადაგზე ყოფილ მეუღლეს ნ.ბ.-ს ყელში ხელების წაჭერით და მუშტების მრავალჯერადი დარტყმით ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიაყენა. ჰ.მ.-ს ქმედებით დაზარალებულმა ფიზიკური ტკივილი განიცადა.

სამართალდამცველებმა ჰ.მ. 20 ოქტომბერს გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში, აზერბაიჯანის მიმართულებით საზღვრის კვეთის მცდელობისას დაიკავეს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ჰ.მ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

მუხიანში „ორი ნაბიჯის“ მაღაზია დააყაჩაღეს

მუხიანში, დუმბაძის გამზირზე მდებარე ქსელურ სუპერმარკეტ „ორი ნაბიჯის“ მაღაზია დააყაჩაღეს.

ადგილობრივების ინფორმაციით, თანამშრომლებს მაღაზია გუშინ დილით გატეხილი დახვდათ.

ადგილზე კრიმინალური პოლიცია მუშაობდა.

ყოფილი ქმრის მიერ დაჭრილი ქალის მდგომარეობა მძიმეა

ყოფილი ქმრის მიერ დაჭრილი 32 წლის ქალის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. პაციენტს ნაკვეთი ჭრილობების სახით სხეულის მრავლობითი დაზიანებები აქვს. ქალი ამჟამად ინტენსიური თერაპიის განყოფილებაშია.

11 იანვარს თბილისში, წმინდა ბარბარეს უბანში კაცმა ყოფილი მეუღლე და მისი მეგობარი დაჭრა. 32 წლის ქალსა და 36 წლის კაცს ჭრილობა ცივი იარაღით აქვთ მიყენებული. სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს.

გერმანია სამთავრობო კრიზისიდან გამოდის

გერმანიაში დასრულდა წინასწარი კონსულტაციები სოციალ-დემოკრატების, ქრისტიან-დემოკრატებისა და ქრისტიან-სოციალისტური კავშირის ლიდერებს შორის. ახალი უმრავლესობის გამოიკვეთა კონტურები, რომლის ბაზაზეც ახალი მთავრობა ჩამოყალიბდება.

ახალი კოალიციის შექმნის გადაწყვეტილება აღნიშნული პარტიების ყრილობებმა უნდა დაამტკიცონ. ეს უმეტესწილად ფორმალური პროცედურაა. სამაგიეროდ, უაღრესად მწვავე ხასიათი ექნება უშუალოდ პორტფელების გაყოფას. სოციალ-დემოკრატების ლიდერი მარტინ შულცი არჩევნებამდე აცხადებდა, რომ ქრისტიან-დემოკრატებთან კოალიციაზე არაფრით არ წავა. რეალობამ შულცს ამ თეზისის გადახედვისაკენ უბიძგა. უდავოა, რომ სოციალ-დემოკრატების ლიდერი ამას ხელზე დაიხვევს და ახალ მთავრობაში ადგილებს მოითხოვს. ჟურნალისტებთან საუბარში შულცმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ქრისტიან-დემოკრატებთან კოალიციას დათანხმდა, მაგრამ არ იცის, პარტიის რიგითი წევრები ამას როგორ შეხვდებიან.

ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობის შექმნა ალბათ აღდგომამდე გაჭიანურდება.

ამავე დროს, უკვე გაფორმდა ის იდეურ-პოლიტიკური პოსტულატი, რომელსაც ახალი კოალიცია დაეყრდნობა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ მსოფლიოში ძალთა განლაგება შეიცვალა. რუსეთი სულ უფრო აგრესიული ხდება; ჩინეთმა განიმტკიცა თავისი პოზიციები. ამას გარდა, გერმანია-აშშ-ს შორის რიგ საკითხებში („ჩრდილოეთის ნაკადი“, ირანთან გაფორმებული „ბირთვული შეთანხმება“ და ა.შ.) სერიოზული უთანხმოებებია.

– ასეთ სიტუაციაში ევროპის ერთიანობა ერთადერთი გარანტია იმისა, რომ ევროპა თავის პოზიციებს დაიცავს. ერთიანი ევროპა კი გერმანიის შემდგომი პროგრესის უმთავრესი გარანტია, – ნათქვამია დოკუმენტში.

ხსნებულ იდეურ დოქტრინაში ნათქვამია, რომ რუსეთთან ურთიერთობებს ყურადღება უნდა მიექცეს, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა გერმანია-თურქეთის ურთიერთობებს გააჩნია.

დოკუმენტში საუბარი არ არის რუსეთის მიმართ სანქციებზე. ამ საკითხში სოციალ-დემოკრატების ლიდერის მარტინ შულცის პოზიცია დიდად განსხვავდება მისივე თანაპარტიელისა და გერმანიის ამჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის გაბრიელის პოზიციისაგან. შულცი მიიჩნევს, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები მანამ უნდა გაგრძელდეს, სანამ რუსეთი არ დატოვებს დონბასსა და ყირიმს.

ამრიგად, ანგელა მერკელის პროგნოზი კვირის ბოლოსთვის ახალი კოალიციის კონტურების გამოკვეთის შესახებ გამართლდა. გერმანიაშიც სამთავრობო კრიზისიდან გამოსვლა დაიწყო. პროცესი მაშინ დასრულდება, როცა ბუნდესტაგი ახალი მთავრობის დამტკიცებას შეძლებს.

ტრამპმა ირანთან ბირთვული შეთანხმების ვადა გააგრძელა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მხარი დაუჭირა ირანის მიმართ დამატებითი სანქციების შემოღებას. ამავე დროს, პრეზიდენტმა თავი შეიკავა უფრო მკაცრი ზომებისგან, რაც ირანის ბირთვული პროგრამის დაბლოკვისაკენ იქნებოდა მიმართული.

ჟურნალისტებთან საუბარში ტრამპმა განაცხადა, რომ ირანთან ბირთვული გარიგების ვადას 120 დღით აგრძელებს.

– ესაა ვადა ჩვენი ევროპელი პარტნიორებისთვის. თუკი მათ ამ პერიოდში არ უზრუნველყვეს ის, რომ ირანის აგრესიული პოლიტიკა თუნდაც რამდენადმე შესუსტდეს, აშშ იძულებული გახდება, შეთანხმებიდან ცალმხრივად გამოვიდეს, – თქვა ტრამპმა.

სირია: ასადმა ქიმიური იარაღი კვლავ გამოიყენა

სირიაში ბრძოლები გრძელდება. დამასკოს მახლობლად, ქალაქ გუტასთან, ასადის არმიამ სერიოზული დანაკარგი განიცადა. პასუხად ასადმა ქიმიური იარაღის გამოყენება ბრძანა.

შედეგად არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის.

სირიის სამოქალაქო ომში უკვე 400.000-მდე ადამიანია დაღუპული. ბრძოლები გრძელდება.

რუსეთის 1.500 მოქალაქეს უკრაინის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალა

გასულ წელს რუსეთის 1.500 მოქალაქეს უკრაინის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალა. ამის თაობაზე უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახური იტყობინება.

მიზეზი ხსენებული მოქალაქეების მიერ უკრაინის მთავრობის ნებართვის გვერდის ავლით ყირიმის მონახულებაა.

– ყირიმი უკრაინის ტერიტორიაა, რომელიც რუსეთმა უკანონოდ მიიტაცა! დაისჯება ყველა, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიას ჩვენი მთავრობის ნებართვის გარეშე მოინახულებს, – განაცხადა უკრაინის პარლამენტის სპიკერმა ანდრეი პარუბიმ.

უკრაინის ხელისუფლების ამ ნაბიჯმა კრემლი განაღვლა. სენატორმა ალექსეი პუშკოვმა განაცხადა, რომ უკრაინა არასოდეს არსებობდა.

– უკრაინული სახელმწიფო ბოლშევიკებმა შექმნეს! უკრაინამ საბჭოთა ეპოქაში შეიერთა დონბასი, დნეპროპეტროვსკი, ხარკოვი, ბუკოვინა, გალიჩინა, იმიერკარპატისპირეთი! რადგან საბჭოთა ეპოქა დაგმეთ, ის ტერიტორიებიც უნდა დააბრუნოთ, რომლებიც საბჭოთა ეპოქის დროს შეიერთეთ. აღმოსავლეთ-სამხრეთ უკრაინა რუსეთს უნდა უბოძოთ, გალიცია – პოლონეთს, იმიერკარპატისპირეთი – უნგრეთს, ბუკოვინა – რუმინეთს, – განაცხადა პუშკოვმა.

რუს სენატორს უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა და ნაციონალისტური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა დმიტრო იაროშმა უპასუხა. მან განაცხადა, რომ პუშკოვი პუტინის თუთიყუშია. მან რუსეთის პრეზიდენტის აზრები გაახმოვანა.

– თეზისი, რომ უკრაინელი ერი არ არსებობს, რუსეთს ძალზე ძვირი დაუჯდა! დონბასის ომში უკვე 30.000 რუსი ჯარისკაცი გამოვასალმეთ სიცოცხლეს! ავღანეთში რუსეთმა ათწლიანი ომის შედეგად სულ 14.000 მეომარი დაკარგა, სირიაში კი ამაზე ნაკლები (ჯერჯერობით). ბატონ პუტინს ვპირდები, რომ რუსებს მომავალშიც დავხოცავთ! – განაცხადა იაროშმა.

საპრეზიდენტო არჩევნები ჩეხეთში — ლიდერობს ზემანი

ჩეხეთში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა.

პირველ ტურში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. ლიდერობს მოქმედი პრეზიდენტი, პრორუსული ორიენტაციის მილოშ ზემანი. მან ხმების 39% დააგროვა. მეორე ადგილზე ევროპტიმისტი ირჟი დრაგოში გავიდა. მან ხმების 26,3% მიიღო.

ჩეხეთის პრეზიდენტის თანამდებობა უმეტესწილად ცერემონიული ხასიათისაა. პარლამენტში უმრავლესობა ევროოპტიმისტებს უპყრიათ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

აქცია წალკაში

წალკის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული საკრებულოს ინიციატივით ჩატარდა აქცია – გაიღე სისხლი სიცოცხლის გადასარჩენად. საკრებულოს ადმინისტრაციამ, დეპუტატებმა და გამგეობის თანამშრომლებმა ერთსულოვნად, უანგაროდ ჩაბარეს სისხლი კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალს“ სისხლის ბანკის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ სახელდახელოდ მოწყობილ სისხლის გადასხმის კაბინეტში.

სტატისტიკის მიხედვით, წელიწადში სისხლის გადასხმა 10-15 ათას ადამიანს სჭირდება. სისხლის საჭიროება ყველაზე მაღალია ავტოავარიების, დამწვრობებისა და სხვადასხვა ოპერაციის დროს. სისხლი და სისხლის პროდუქტები მუდმივად ესაჭიროებათ უმძიმეს პაციენტებს, მათ შორის, ბავშვებს. სისხლის ვარგისიანობის მაქსიმალური ვადა 42 დღეა. აქედან გამომდინარე, სისხლის ბანკებს ყოველდღე ესაჭიროებათ ჯანმრთელი დონორების გარკვეული რაოდენობა.

წალკის საკრებულოსა და მერიის თანამშრომლების მაგალითი – უანგარო დონაცია (არა ერთჯერადი!) გადამდები უნდა გახდეს სხვა მუნიციპალიტეტებისთვისაც.

ამით ჩვენი მრავალი თანამოქალაქის სიცოცხლეს გადავარჩენთ.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66. .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგები. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამადანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ხელბურთელთა ნაკრების ორი მარცხი

ხელბურთის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ორ მატჩში საქართველოს ნაკრებმა მარცხი განიცადა და ჯგუფში მესამე ადგილისთვის ისრაელს შეხვდება.

პირველი მატჩი საქართველოს ნაკრებმა ლატვიასთან დიდი ბრძოლის შემდეგ 21:24 წააგო. არადა, ჩვენი ნაკრები უმეტესი დრო ლიდერობდა. ეს იყო ნაკრების ახალი მწვრთნელის, მაკედონიელი დონ ბოშკოვსკის დებიუტი. გუნდმა დაცვაშიც და შეტევაშიც მწყობრად ითამაშა, მწვრთნელმა კი უნარიანად გამოიყენა თითქმის მთელი რესურსი, ათამაშა 13 ხელბურთელი. ყველამ ბოლო წამამდე იბრძოლა.

საქართველომ თამაში ასეთი შვიდეულით დაიწყო: თევზაძე, რუსტამოვი, წითელიშვილი, ჩიქოვანი, ცხოვრებაძე, ჭანტურია, მსხვილიძე. აღსანიშნავია, რომ მსხვილიძემ უჩვეულო, პივოტის პოზიცია დაიკავა, ხოლო დაცვაში ცხოვრებაძეს ვეტერანი დათუკაშვილი ცვლიდა. ის და მსხვილიძე კარგად იდგნენ დაცვის ცენტრში, გუნდი კი მთელი თამაში 6-0 განლაგებას იყენებდა.

დასაწყისში ლატვიელები ორჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ ჭანტურიამ და ცხოვრებაძემ ორჯერ გაათანაბრეს, 2:2, მეექვსე წუთზე ჩიქოვანმა ანგარიში 3:2 გახადა. შემდგომ შოთა თევზაძემ ზედიზედ ორი შვიდმეტრიანი მოიგერია, თუმცა, ანგარიშის გაზრდა ვერ მოვახერხეთ და მე-10 წუთზე ისევ ფრე იყო – 3:3, ამის შემდეგ კი კიდევ ორჯერ გავედით წინ ჩიქოვანის შვიდმეტრიანისა და ცხოვრებაძის შორეული დარტყმის შემდეგ, 5:4. მე-20 წუთზე ანგარიში 7:7 იყო, თუმცა, შემდეგ ლატვიამ ზედიზედ სამჯერ გაიტანა – 10:7. ბოშკოვსკიმ ტაიმაუტი აიღო, რის შემდეგაც ჭანტურიამ, ორჯონიკიძემ და ჩიქოვანმა გაათანაბრეს – 10:10.

ტაიმის დასასრული ასეთი იყო: ცხოვრებაძემ კიდევ ერთხელ გაათანაბრა, შემდეგ მსხვილიძეს გაატანინა, ზედ ბოლო წამზე კი შოთა თევზაძემ მესამე შვიდმეტრიანიც აიღო – 12:11, ტაიმი საქართველომ მოიგო.

კრიშტოპანსმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაგვითანაბრა, მაგრამ ცხოვრებაძე 9 მეტრიდან შეაგდო, თავიანთი მეოთხე შვიდმეტრიანი კი ლატვიელებმა უკვე ძელს გაარტყეს და წითელიშვილმა 2 ბურთით დაგვაწინაურა (14:12), თუმცა, ლატვიამ წონასწორობა ისევ აღადგინა – 14:14.

ამის შემდეგ ჩიქოვანს ჯერ თავად გააქვს და შემდეგ საგოლე პასს აწვდის ჭანტურიას, საპასუხოდ კრიშტოპანსს გააქვს 2 გოლი და ისევ ფრე. 15 წუთით ადრე საქართველო ისევ 2 ბურთით იგებს (19:17), თუმცა ლატვია ისევ ათანაბრებს – 19:19.

დასკვნით ნაწილში თევზაძე იგერიებს მეხუთე შვიდმეტრიანს, თუმცა ბურთი მეტოქეს რჩება და წინ გადის, მაგრა ცხოვრებაძეს გააქვს შემდეგ ჩვენი მეკარე იგერიებს პირისპირ გასვლას და სწრაფ გარღვევაში უშვებს რუსტამოვს – 21:20 საქართველო იგებს და რჩება 7 წუთი.

ამის შემდეგ ჩვენს ნაკრებს ჰქონდა შანსი სხვაობა ორამდე გაეზარდა, მაგრამ ცხოვრებაძე, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა შეტევაში, დაიღალა, რამდენიმე ბურთი დაიკარგა, რუსტამოვის გოლი უკანასკნელი აღმოჩნდა, ხოლო ლატვია საბოლოოდ სირენამდე 4 წუთით ადრე, წითელიშვილის გაძევების შემდეგ დაწინაურდა, ხოლო ბოლო 4 წუთში კიდევ 2 გოლი გაგვიტანა – 21:24.

ლატვიასთან წაგების შემდეგ ჩვენმა ნაკრებმა კარგი შეფასება დაიმსახურა ლიტვურ და ლატვიურ მედიაში. ყველგან დაიწერა, რომ კარგად მოტივირებული და შემართული ქართველები ბოლო წუთამდე ეომნენ ჯგუფის ერთ ერთ ფავორიტს. იგივე განმეორდა მეორე მატჩშიც.

საქართველოს ნაკრები მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ლიდერობდა, მაქსიმალურ სხვაობას კი იმ მონაკვეთში მიაღწია, როცა მსხვილიძემ შეაგდო 9 მეტრიდან, დათუკაშვილმა მეტოქის დარტყმა დაბლოკა, რიცხვობრივი ნაკლებობისას რუსტამოვმა გადაცემა ჩაჭრა და ჭანტურია გაუშვა გარღვევაში, ბოლოს კი მსხვილიძემ 6 მეტრიდან, მეტოქესთან ბრძოლაში, ხელუკუღმა გაიტანა – 10:7.

ეს კარგი ანგარიში იყო, რადგან ჩვენ მინიმუმ 3 ბურთით მოგება გვჭირდებოდა ჯგუფიდან გასასვლელი შანსის შესანარჩუნებლად. მეტოქემ დაცვაში საგანგებო ყურადღება დაუთმო ჩვენს ჭაბუკ ვარსკვლავს ცხოვრებაძეს, ლიდერობა, რა თქმა უნდა, ჩიქოვანმა იტვირთა, ხოლო მსხვილიძემ თამაში ხაზზე დაიწყო, მაგრამ შორიდანაც მშვენივრად გაიტანა და ამის შემდეგ მწვრთნელი ბოშკოვსკი მას ჩვეულ, მარჯვენა ინსაიდის პოზიციაზეც იყენებდა.

სამბურთიანი ჩამორჩენის შემდეგ ლიტვამ მობილიზაცია გამოაცხადა, 3-2-1 დაცვაზე გადავიდა, რამდენიმე ბურთი მეკარე მორკუნასმაც მოიგერია და ანგარიში 10:10 გახდა. ორჯონიკიძემ კიდევ დაგვაწინაურა, მაგრამ ლიტვა წინ პირველად გავიდა ზედ ბოლო წუთზე, როდესაც მათმა 130-კილოგრამიანმა პივოტმა, ციბულსკიმ გაგვიტანა – 11:12 შესვენებაზე.

მეორე ტაიმში ჯერ ცხოვრებაძემ გააათანაბრა, მერე, მისივე პასით, რუსტამოვმა, ჩიქოვანმა ბოლოჯერ დაგვაწინაურა (14:13), ამის შემდეგ კი ზედიზედ დავკარგეთ 3 ბურთი და გავუშვით ამდენივე გოლი, წითელიშვილმა კი სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა – 15:16. თუმცა, იქვე რამდენიმე უპატიებელი შეცდომა და ციბულსკიმ ლიტვა 4 ბურთით დააწინაურა – 19:15. თითქოს მატჩის ბედი გადაწყდა, მაგრამ ჩიქოვანმა შვიდმეტრიანი გამოიმუშავა, მეტოქე ორწუთიანში გაუშვა, პენალტი თავად დაარტყა, შემდეგ კი, როდესაც რიცხვნაკლული ლიტვა იძულებული გახდა, შეტევაში მეკარე მოეხსნა, იმავე ჩიქოვანმა და დიხამინჯიამ ცარიელ კარში გაიტანეს – 18:19.

რჩებოდა 10 წუთი, თევზაძემ (სულ 11 მოგერიება) ზედიზედ აიღო ორი დარტყმა და ანგარიშის გასათანაბრებლადაც წავედით, მაგრამ წითელიშვილმა შორიდან ძელს მოარტყა და საბედისწერო კრიზისი მაინც დაგვიდგა: მეტოქემ ისევ ამოსწია დაცვა, მორკუნასმა ყველა ჩვენი შორეული დარტყმული მოიგერია, თავის მხრივ, ლიტვამ ზედიზედ ხუთჯერ გაიტანა და თამაშის ბედი დასრულებამდე 4 წუთით ადრე გადაწყვეტილი იყო – 18:24. ბოლოს 2 გოლი კი ჩაიწერა ორჯონიკიძემ, მაგრამ უკვე არაფრისმომცემი – 20:24.

არმია სეზონს ჩაამთავრებს

თავდაცვის სამინისტრო რაგბის კლუბ არმიის ლიკვიდაციის იურიდიულ მხარეს მაისის ბოლომდე გადადებს, ხოლო კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რაგბის კავშირთან ერთად, მომავალი 4 თვისთვის კლუბის დაფინანსებისთვის საჭირო თანხებს მოიძიებს. გარდა ამისა, რაგბის კავშირი კლუბისათვის სპონსორის მოძიებასაც ეცდება.

რაგბის კავშირში ზემოთ ნახსენები უწყებების ხელმძღვანელები კლუბის წარმომადგენლებსა და მორაგბეებს შეხვდნენ და შეთანხმებაც შედგა.

შალვა გოგოლაძე, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:

– ჩვენ ვაფასებთ მორაგბეების წარმატებებს და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქვეყანაში რაგბის განვითარება. სამწუხარო იყო ის, რაც არმიასთან დაკავშირებით ხდებოდა და ამიტომ თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მაისის ბოლომდე არ მოხდება კლუბის ლიკვიდაცია. იმისათვის, რომ გუნდმა განაგრძოს ჩემპიონატში მონაწილეობა და ჰქონდეს ფინანსური უზრუნველყოფა, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რაგბის კავშირთან ერთად, მოიძიებს დამატებით თანხებს. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ სარაგბო კლუბები დავკარგოთ.

გოჩა სვანიძე, რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

– ეს იყო კონსტრუქციული შეხვედრა და სწორი გადაწყვეტილება. თავდაცვის სამინისტრო არ მოახდენს კლუბის ლიკვიდაციას, ხოლო კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ჩვენთან ერთად, უახლოეს დღეებში მოიძიებს გუნდისათვის საჭირო დაფინანსებას. პარალელურად, რაგბის კავშირი არმიას სპონსორის მოძებნაში დაეხმარება.

ოსკაროსანი შენგელია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

2017 წლის ბოლო თვე თოკოსთვის მართლაც გამორჩეული გამოდგა. ამაზე მისი საშუალო სტატისტიკა მეტყველებს: 17.8 ქულა, 7.1 მოხსნა და სარგებლიანობის კოეფიციენტი 6 მატჩში – 26.3.

ევროლიგის ბოლო ტურში კი შენგელიას ბასკონიამ ევროპის ერთ-ერთი გრანდი, ბერძნული ოლიმპიაკოსი გაანადგურა. ბასკონიელებმა პირეოსელებს ვიტორია-გასტეისში უმასპინძლეს და, მიუხედავად პირველი პერიოდის 16:21 წაგებისა, სახელოვანი მეტოქე საბოლოოდ 32 ქულით გააცამტვერეს – 86:54.

მოულოდნელად გუნდის კაპიტანი შენგელია სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა. ის თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანზე არასრული 16 წუთი გაატარა. თორნიკემ 9 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა 4-დან 3 ორქულიანი და სამქულიანი ჩააგდო, 2 საჯარიმო ააცილა.

8 გამარჯვებისა და 9 მარცხის მქონე ბასკონია 16-გუნდიან ევროლიგაში მე-9 ადგილზეა და დარჩენილი პერიოდის გამოწვევაც საუკეთესო 8 გუნდში შესვლა იქნება, რაც ვიტორიელებს პლეი ოფში გასვლის საშუალებას მისცემს. შემდეგი მატჩი ბასკონიელებს მადრიდში, რეალთან ელით.

გიორგი შერმადინის უნიკახამ კი ევროლიგაში დასანანი მარცხი განიცადა. მალაგელები სტუმრად ჟალგირისს შეხვდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმის შემდეგ 8 ქულით ლიდერობდნენ, საბოლოოდ 77:79 წააგეს.

ქართველი ცენტრი სათადარიგო იყო, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ესპანურ კლუბში ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილიყო. შერმადინმა 17 წუთში 8 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. გიორგიმ 6-დან 3 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო. შერმადინის სარგებლიანობის კოეფიციენტი 15-ს გაუტოლდა და ის სტუმართა რიგებში მხოლოდ ამერიკელ ჯეიმს ოგასტინს ჩამორჩა.

17 ტურის შემდეგ 7 მოგებით უნიკახა ცხრილში მე-10 ადგილზეა, ხოლო მომდევნო მატჩი მილანში არმანი ექსჩეინჯთან ელის.

საქართველო-აზერბაიჯანის მატჩი გადაიდო

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებთა ამხანაგური მატჩი 2 თებერვალს უნდა გამართულიყო, მაგრამ მისი ჩატარების თარიღი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ერთმანეთთან მოლაპარაკების შედეგად გაირკვა, რომ გუნდები ერთმანეთს ფიფას ამხანაგური მატჩების კალენდრით გათვალისწინებულ დღეს შეხვდებიან.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ამხანაგური მატჩი თურქეთის ქალაქ ანტალიაში 2 თებერვალს იყო დაგეგმილი, რომელიც ამხანაგური მატჩების ოფიციალურ თარიღს არ წარმოადგენდა. ეს ფაქტი კი ხელს უშლიდა ფეხბურთელების სრულად გამოძახებას ამხანაგური მატჩისთვის, რადგან კლუბები ამის საშუალებას არ მისცემდნენ, ამიტომ სრულყოფილ სახეს ვერ მიიღებდა.

ბათუმი რუმინული მატჩის იმედად დადგა

ბათუმი-ტიმიშოარა 6:11

საქართველოს ვიცეჩემპიონი ბათუმი უახლოეს შაბათს ტიმიშოარა-სარასენსს კლუჟში ეწვევა, 5-ქულიანი დეფიციტის აღმოფხვრასა და ევროპული რაგბის კონტინენტის ფარის ნახევარფინალში გასვლას ეცდება.

უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში მეტოქეებმა ბათუმში ორჯერ ითამაშეს და გამოჩნდა, რომ რუმინეთის ნაკრების საბაზო გუნდი, რომელიც ლეგიონერებითაა გაძლიერებული, დიდი 10-ის მეორეადგილოსანს არაფრით აღემატება. ერთადერთი, რაც მეტოქეს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს გრძელი სათადარიგო სკამი და ევროტურნირებში თამაშის გამოცდილებაა.

ჯგუფური ეტაპის დასკვნით ტურში ბათუმმა მეტოქის 20:17 დამარცხება შეძლო და პლეი ოფის პირველ მატჩს იმედიანად შეხვდა. თამაშის პირველმა ნახევარმა საათმა აჩვენა, რომ ეს იმედი უსაფუძვლო სულაც არ იყო. ამ პერიოდში მასპინძლებმა ბურთზე კონტროლი დაამყარეს, ფეხით ტაქტიკურ დარტყმებში მეტოქეს აჯობეს და ტერიტორიული უპირატესობაც მოიპოვეს, თუმცა ეს ქულებში ვერ ასახეს.

ანგარიშის გახსნა ბახვა კობახიძეს მე-5 წუთზე შეეძლო, თუმცა შორიდან შესრულებული ჯარიმა არაზუსტი იყო. ბათუმმა მატჩის დებიუტში სამჯერ მოიპოვა კარგი შესატევი პლაცდარმი, მაგრამ 3 საკუთარი დერეფანი დათმო, წვიმის გამო ტექნიკური წუნიც შეემთხვა და 30 წუთი უქულოდ მიილია. ნახევარი საათის შემდეგ სტუმრებმა ინიციატივის დაუფლება მოახერხეს, მართალია ტევიტა მანუმუას კარის 20 მეტრიდან ჯარიმა გაუცუდდა, მაგრამ ორიოდე წუთში ჯოდი როუზმა არეკნი შეასრულა და სტუმრები დააწინაურა. 36-ე წუთზე მას კობახიძემ საშუალო მანძილიდან გატანილი ჯარიმით უპასუხა, ტაიმი 3:3 დასრულდა.

შერკინებაში უპირატესობა ბათუმელთა მხარეს იყო, მაგრამ მოლის აგორება რუმინელებს უკეთ გამოსდიოდათ და 50-ე წუთზე შეხვედრის ერთადერთი ლელო გავიდა. მანამდე გიორგი თხილაიშვილი სინბინით დაისაჯა, დერეფნიდან აგორებულ მოლს კი ანდრეი რადოი მოწყდა და სველი მოედნის წყალობით ლელოში შესრიალდა.

არაზუსტი გარდასახვის შემდეგ ზღვისპირელებმა კარგი იერიში წამოიწყეს და ჯერ კიდევ კაცნაკლულებმა 3 ქულა გაქვითეს – კობახიძემ ჯარიმა ზუსტად შეასრულა. თუმცა, გადამწყვეტი უპირატესობის დაუფლება ველარ მოხერხდა. მატჩის მიწურულს ტიმიშოარა-სარასენსმა შეძლო ჩვენს ნახევარზე დამკვიდრება და მართალია დაცვის ზღუდე ვერ გაარღვია, მაგრამ 76-ე წუთზე გატანილი ჯარიმით, განმეორებითი შეხვედრის წინ 5-ქულიანი ჰანდიკაპი შეიქმნა – 11:6.

განმეორებითი შეხვედრა 20 იანვარს ქალაქ კლუჟში გაიმართება.

შედეგები

13 იანვარი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰიემიეიღიგა

ჩელსი-ლესტერი 0:0
კრ.პალასი-ბარნლი 1:0
ჰადერსფილდი-ვესტ ჰემი 1:4
ნიუკასლი-სუონსი 1:1
უოტფორდი-საუთჰემპტონი 2:2
ვესტ ბრომვიჩი-ბრაიტონი 2:0
ტოტენჰემი-ევერტონი 4:0

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	22	20	2	0	64-13	62
2.მანჩესტერი	22	14	5	3	45-16	47
3.ჩელსი	23	14	5	4	41-16	47
4.ლივერპული	22	12	8	2	50-25	44
5.ტოტენჰემი	23	13	5	5	46-21	44
6.არსენალი	22	11	6	5	40-28	39
7.ბარნლი	23	9	7	7	19-20	34
8.ლესტერი	23	8	7	8	34-32	31
9.ევერტონი	23	7	6	10	25-38	27
10.უოტფორდი	23	7	5	11	33-42	26
11.ვესტ ჰემი	23	6	7	10	29-41	25
12.კრ. პალასი	23	6	7	10	21-33	25
13.ჰადერსფილდი	23	6	6	11	19-39	24
14.ნიუკასლი	23	6	5	12	21-31	23
15.ბრაიტონი	23	5	8	10	17-29	23
16.საუთჰემპტონი	23	4	9	10	23-34	21
17.ბორნმუთი	22	5	6	11	22-34	21
18.სტოკი	22	5	5	12	23-47	20
19.ვესტ ბრომვიჩი	23	3	10	10	18-30	19
20.სუონსი	23	4	5	14	14-35	17

ინგლისი. ჩემპიონიღიგა

კარდიფი-სანდერლენდი 4:0
ბარნსლი-ვულვზი 0:0
ბარტონი-ქპრ 1:3
ბირმინგემი-დერბი 0:3
ბრენტფორდი-ბოლტონი 2:0
ბრისტოლი-ნორვიჩი 0:1
იფსვიჩი-ლიდსი 1:0
მიდლსბრო-ფულემი 0:1
მილუოლი-პრესტონი 1:1
ჰალი-რედინგი 0:0
ნოტინგემი-ასტონ ვილა 0:1

ესპანეთი. ჰიმეიხ დივიზიონი

ხირონა-ლას პალმასი 6:0
რეალი-ვილიარეალი 0:1
ეიბარი-ატლეტიკო 0:1
დეპორტივო-ვალენსია 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	18	15	3	0	48-7	48
2.ატლეტიკო	19	12	6	1	28-8	42
3.ვალენსია	19	12	4	3	40-19	40
4.რეალი	18	9	5	4	32-17	32
5.ვილიარეალი	19	9	4	6	26-21	31
6.სევილია	18	9	2	7	23-27	29
7.ეიბარი	19	8	3	8	24-31	27
8.ხეტაფე	19	7	5	7	23-18	26
9.ხირონა	19	7	5	7	28-28	26
10.ბილბაო	18	6	6	6	20-19	24
11.ლეგანესი	17	7	3	7	13-14	24
12.ბეტისი	18	7	3	8	30-34	24
13.სოსიედადი	18	6	5	7	31-30	23
14.ესპანიოლი	18	6	5	7	15-21	23
15.სელტა	18	6	4	8	32-27	22
16.ლევანტე	18	3	9	6	15-25	18
17.დეპორტივო	19	4	4	11	21-37	16
18.ალავესი	18	5	0	13	13-27	15
19.მალაგა	19	3	2	14	13-33	11
20.ლას პალმასი	19	3	2	14	14-46	11

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბარსელონა ბ-ვალიადოლიდი 0:1
ალმერია-ხიმნასტიკი 1:1
ხიხონი-ალკორკონი 3:0
რეუსი-ლუგო 0:1
სარაგოსა-ტენერიფე 1:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ვერდერი-ჰოფენჰაიმი 1:1
აინტრახტი-ფრაიბურგი 1:1
აუგსბურგი-ჰამბურგი 1:0
ჰანოვერი-მაინცი 3:2
შტუტგარტი-ჰერტა 1:0
ლაიპციგი-შალკე 3:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	18	14	2	2	40-12	44
2.ლაიპციგი	18	9	4	5	30-26	31
3.შალკე	18	8	6	4	29-24	30
4.დორტმუნდი	17	8	4	5	39-24	28
5.ლევერკუზენი	18	7	7	4	35-26	28
6.გლადბახი	17	8	4	5	27-28	28
7.აუგსბურგი	18	7	6	5	28-23	27
8.ჰოფენჰაიმი	18	7	6	5	28-23	27
9.აინტრახტი	18	7	6	5	21-19	27
10.ჰანოვერი	18	7	5	6	27-28	26
11.ჰერტა	18	6	6	6	26-26	24
12.შტუტგარტი	18	6	2	10	14-21	20
13.ფრაიბურგი	18	4	8	6	18-32	20
14.ვოლფსბურგი	17	3	10	4	21-21	19
15.მაინცი	18	4	5	9	21-31	17
16.ვერდერი	18	3	7	8	14-21	16
17.ჰამბურგი	18	4	3	11	15-26	15
18.კიოლნი	17	1	3	13	10-32	6

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლორიანი-გაზელეკი 4:1

პორტუგალია. ჰიმეიხ ლიგა

ფერეირა-მარიტიმუ 0:0
ბრაგა-ბენფიკა 1:3

საბერძნეთი. სუპერლიგა

ქსანთი-პლატანიასი 3:2
აპოლონი-პანიონიოსი 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

2.მონაკო	19	13	2	4	46-19	41
3.ლიონი	19	12	5	2	46-20	41
4.მარსელი	20	12	5	3	41-22	41
5.ნანტი	19	10	3	6	18-18	33
6.გენგამი	20	8	5	7	23-24	29
7.ნიცა	19	8	3	8	24-29	27
8.მონპელიე	19	6	8	5	17-13	26
9.რენი	20	7	4	9	24-29	25
10.დიჟონი	19	7	3	9	28-33	24
11.სტრასბური	20	6	6	8	24-33	24
12.კაენი	19	7	3	9	12-21	24
13.ამიენი	19	6	3	10	16-21	21
14.ტრუა	19	6	3	10	20-27	21
15.ბორდო	19	5	5	9	22-29	20
16.სტ.ეტიენი	19	5	5	9	18-33	20
17.ტულუზა	19	5	4	10	18-27	19
18.ლილი	19	5	4	10	17-30	19
19.ანჟე	19	3	9	7	21-29	18
20.მეცი	19	3	2	14	13-34	11

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლორიანი-გაზელეკი 4:1

პორტუგალია. ჰიმეიხ ლიგა

ფერეირა-მარიტიმუ 0:0
ბრაგა-ბენფიკა 1:3

საბერძნეთი. სუპერლიგა

ქსანთი-პლატანიასი 3:2
აპოლონი-პანიონიოსი 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბიტკოინის ციებ-ცხელება საქართველოში

დასაწყისი მე-6 გვერდზე

„2014 წელს საქართველოს თანაინვესტირების ფონდმა მოწინავე საერთაშორისო კომპანია „ბიტფური“ სასესხო დაფინანსებით უზრუნველყო. „ბიტფურის“ საქართველოში შემოსვლამ ხელი შეუწყო ქვეყანაში მაღალტექნოლოგიური დარგის განვითარებას და საქართველო მსოფლიო ტექნოლოგიურ რუკაზე მოაქცია.

სესხი კომპანიამ 2015 წელს სრულად დაფარა. შესაბამისად, გვინდა მოგახსენოთ, რომ არც საქართველოს თანაინვესტირების ფონდი და არც ბიძინა ივანიშვილი ან მასთან დაკავშირებული რომელიმე კომპანია გორისა და გლდანის დატა ცენტრებში არანაირ წილს არ ფლობენ“.

„ბიტფური ჯგუფის“ დამფუძნებელმა, ვალერი ვავილოვმა, აღნიშნა, რომ ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით ის დიდი ხანია მუშაობს საქართველოს მთავრობასთან.

– საქართველო ძალზე ინოვაციური ქვეყანაა. ეს არის ქვეყანა, რომელიც მხარს უჭერს ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. საქართველოში არ არის კორუფცია, აქ არის ძალიან ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი, იგი არა მხოლოდ დაბეგვრისთვის არის ხელსაყრელი, არამედ სტრუქტურაა მარტივი, ცოტა დრო გჭირდება სხვადასხვა ქაღალდის შესავსებად. ასევე, არ არის ძვირი მუშახელი, ისინი არიან ძალიან შრომისმოყვარე. საქართველო არის მწვანე ენერგიის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მწარმოებელი, რაც, რა თქმა უნდა, ნიშნავს იაფ ელექტროენერგიას. ყველა ეს პარამეტრი საქართველოს ხდის კეთილგანწყობილსა და მეგობრულს ჩვენი ბიზნესისათვის, – განაცხადა რამდენიმე კვირის წინ ვავილოვმა.

ენერგოვამპირი სერვერები

„ბიტფურის“ წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საქართველოს მთავარი ხიბლი იაფი ელექტროენერგიაა. რატომ არის ელექტროენერგიის ფასი ასე მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ ეს ცენტრები ყოველთვიურად რამდენიმე მილიონ კვტ.სთ-ს მოიხმარენ. სერვერები განუწყვეტლივ მუშაობენ და მათ გასაგრილებლად საჭიროა ტემპერატურის მუდმივი კონტროლი, გაგრილება.

ელექტროენერგიის ტარიფის ზრდის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება ბიტკოინის მოპოვების პროცესი, რომელიც დაახლოებით იმდენივე ელექტროენერგიას ისრუტავს, რაც გიგანტურ ქარხნებს სჭირდებათ. ექსპერტები ამბობენ, რომ საქართველოში ბიტკოინის მოპოვება ენერგოსექტორს განსაცდელს უმზადებს.

– საწარმოებლად მუხიანში მდებარე ერთ-ერთი ორგანიზაციისთვის ელექტროენერგიის მოხმარების დადგმული სიმძლავრე 50 მგვტ-ზე მეტია და საუბარი მიდის იმაზე, რომ ეს მაჩვენებელი 75 მგვტ-მდე გაიზარდოს (შესაძლოა, უკვე არის კიდეც ამდენი). ამ დროს ფეროშენადნობთა ქარხნის სიმძლავრე ზესტაფონში 75-80 მგვტ-მდეა, – ამბობს ენერგეტიკოსი გია არაბიძე ერთ-ერთ ქართულ გამოცემასთან.

ბოლო დროს „ბიტფური ჯგუფს“ პოლიტიკოსები ადანაშაულებდნენ, რომ ელექტროენერგიას შეღავათიან ფასად იღებდნენ, რამაც ელექტროენერგიაზე მოთხოვნა და ფასის ზრდა გამოიწვია. კომპანია ამ ბრალდებას უარყოფს და ამბობს, რომ არცერთ ეტაპზე არანაირი შეღავათით არ უსარგებლია და ყოველთვის ბაზარზე დადგენილ ტარიფს იხდიდა.

„სამი წლის განმავლობაში ჩვენ მიერ საქართველოში ინვესტირებული თანხის მოცულობა აღემატება 140 მილიონ ლარს, ხოლო ჯამში დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 180 კაცს. დასაქმებულთა 100% არის ადგილობრივი და საშუალო ხელფასი შეადგენს 2.500 ლარზე მეტს, ხოლო მათი საშემოსავლო გადასახადი ირიცხება ბიუჯეტში“, – ნათქვამია „ბიტფური ჯგუფის“ განცხადებაში.

თამარ ტყემალაძე

ტაილანდელ მსახიობ ქალს კადრში შიშველი ბოიფრენდის გაელვებისთვის გაასამართლებენ

ტაილანდელ მსახიობს აპინია „საიპან“ საკულიაროენსაკს შესაძლოა სასამართლოში მოუხდეს წარდგომა ინსტაგრამში მისი ბოიფრენდის გენიტალიების შემთხვევით დემონსტრირებისთვის.

გოგონა ცნობილია შიდსით დაავადებული კამბოჯელი მეძავის როლით, რომელსაც ის გერმანულ მელოდრამა „იგივე, მხოლოდ სულ სხვაში“ ასრულებს. მსახიობმა ინსტაგრამში გამოაქვეყნა ვიდეო, რომელში მისი მეგობარი მამაკაცი უშარვლოდ გამოჩნდა. სკრინშოტები ვირუსული გახდა და სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

მას შემდეგ, რაც მსახიობმა ატეხილი ხმაურის შესახებ შეიტყო, ვიდეო წაშალა და ბოდიშიც მოიხადა. საკულიაროენსაკი ამტკიცებს, რომ ვიდეოზე გენიტალიები შემთხვევით მოხვდა, ხოლო თავად ვიდეორგოლი საიდუმლო აკაუნტში უნდა განთავსებულიყო.

მისმა მენეჯერმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მსახიობი თავს დამნაშავედ ცნობს და ამის შემდეგ სოციალურ ქსელებში საკუთარ საქმიანობას უფრო ყურადღებით მოეკიდება.

ამ ხმაურიან ისტორიასთან დაკავშირებით 27 წლის მსახიობი ტექნოლოგიების სფეროში დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებაში დაკითხვაზე დაიბარეს. მას შესაძლოა სამი წლით პატიმრობა მიესაჯოს ან ჯარიმის სახით 60 ათასი ბატის გადახდა დაეკისროს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ამერიკაში ალიგატორები ყინულებში ჩაიჭედნენ

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინაში მდებარე ეროვნულ პარკში რამდენიმე ალიგატორი ყინულებს მიეყინა, რისი მიზეზიც ანომალიურად ცივი ამინდი გახდა.

როგორც პარკის გენერალურმა დირექტორმა ჯორჯ ჰოვარდმა განაცხადა, რეპტილიები ძილს მიეცნენ, ცხვირები კი წყლიდან ამოყვეს, რათა ისუნთქონ. მისი თქმით, ამ დროს ცხოველები საკუთარი სხეულის ტემპერატურას ამცირებენ და ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას ანელებენ.



როდესაც ყინული გალღვება, ალიგატორები საკუთარი სხეულის თერმორეგულირებას დაიწყებენ.

– ეს უბრალოდ თვითგადარჩენის შესანიშნავი საშუალებაა, – განაცხადა ჰოვარდმა და დაამატა, რომ აქამდე ასეთ შემთხვევასთან საქმე არ ჰქონია.

შვედს ხელყუმბარა სათამაშო ეგონა და აფეთქდა

სამოცი წლის შვედი მამაკაცი ხელყუმბარის აფეთქების შედეგად დაიღუპა, რომელიც მას სათამაშო ეგონა.

აფეთქება რამდენიმე დღის წინ სტოკჰოლმის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბანში სადგურ ვერბი გარდის მახლობლად მოხდა, თუმცა დაღუპულის შვილმა, რომელიც ჩილეში ცხოვრობს, ამის შესახებ მხოლოდ ახლახან განაცხადა.

– მისმა გოგონამ მითხრა, რომ მან გადაწყვიტა „სათამაშო“ ხელყუმბარა აეღო, რომელიც აფეთქდა, – განმარტა დაღუპულის შვილმა, და იქვე დაამატა, რომ მამამისი აღნიშნულ რაიონს საცხოვრებლად სახიფათოდ მიიჩნევდა. მისი თქმით, ტრაგედიის წინა დღეს რაიონში სროლის ხმა ისმოდა და მოსახლეობას თხოვნით მიმართა, რომ თუკი ვინმესთვის რაიმეა ცნობილი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა ხელყუმბარა აღმოჩენილიყო ქუჩაში, ინფორმაცია პოლიციას მიაწოდონ.

გველების მოყვარულმა რვა თვის ბავშვს პითონი აჩუქა

ბრიტანელმა სკოტ გევინმა რვა თვის გოგონას სამეფო პითონი აჩუქა, სახელად სპანჩ ბობი. მამაკაცი ირწმუნება, რომ გველი გოგონას არ ავნებს.

გევინის თქმით, სამეფო პითონები, როგორც წესი, მსხვერპლს კბილებით იჭერენ და საკუთარი სხეულით გუდავენ. თუმცა მამაკაცი ირწმუნება, რომ მის მიერ ნაჩუქარი პითონი გოგონა ემილის არაფერს დაუშავებს, ვინაიდან, ის „ძალიან მშვიდია“. ამის მიუხედავად, ის გოგონას გველთან მარტო არ ტოვებს.

ბრიტანელი ამტკიცებს, რომ გოგონა და გველი ერთმანეთს შესანიშნავად შეეგუვნენ. მას ახარებს ის ფაქტი, რომ გოგონა პითონს ნაზად ეპყრობა. ამჟამად პითონის სიგრძე 47 სანტიმეტრს აღწევს, თუმცა ის შესაძლოა ორ მეტრამდე გაიზარდოს.

გინებას გადაჩვეულ მამაკაცს მკერდი გაეზარდა

ამერიკელმა, რომელსაც ტურეტის სინდრომის მკურნალობის შედეგად მკერდი გაეზარდა, შესაძლოა კომპენსაციის სახით 500 ათასი დოლარი მიიღოს წამლის მწარმოებლისგან.

ფილადელფიის საოლქო სასამართლომ ფარმაცევტული კომპანია Janssen Pharmaceuticals-ის წინააღმდეგ მიმართული ტიმოთი სტენჯის სარჩელი განიხილა.

12 წლის სტენჯის, რომელიც ტურეტის სინდრომით იყო დაავადებული, გამოუწერეს ანტიფსიქოლოგიური საშუალება „რისპერდალი“, რომელსაც ზემოთ აღნიშნული კომპანია აწარმოებს. წამლის მიღების შედეგად მას გინეკომასტია განუვითარდა – ენდოკრინული აშლილობა, რომელიც მკერდის ჯირკვლების ზრდას იწვევს. სტენჯი ამტკიცებს, რომ მკერდის გადიდების გამო მას თანაკლასელები დასცინიან. მის მოსაშორებლად ქირურგიული ოპერაცია გახდა საჭირო, რის შემდეგაც მას ნაიარევები დარჩა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

15 იანვარი

ვერძი – დიდი ალბათობაა მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალისა. საყიდლებზე წასასვლელად ერთობ შეუფერებელი დღეა. **კურო** – ინტელექტუალური და სულიერი პოტენციალის გამოსავლენად მშვენიერი შანსი გეძლევათ. საამისოდ კი დიდი ფიზიკური ძალისხმევა დაგჭირდებათ. **ტყუპები** – პიროვნული მომხიბვლელობა წარმატების მოპოვებაში დაგეხმარებათ. მამაკაცები ჯანმრთელობას უნდა გაუფრთხილდეთ. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. დღეს მხოლოდ იმ საქმით დაკავდით, რომელიც ყველაზე კარგად გამოგდით. **ლომი** – თქვენი აქტიურობა უფროსობას შეუმჩნეველი არ დარჩება. შრომა აუცილებლად სათანადოდ დაგიფასდებათ. **ქალწული** – იოლად არავის მიენდოთ. მიამიტობა დღეს ცუდ სამსახურს გაგიწევთ. **სასწორი** – ყველა დაბრკოლების გადალახვას შეძლებთ. დღის მეორე ნახევარში არასასიამოვნო ინფორმაცია ნერვებს მოგიშლით. **ღრიანკალი** – დღეს დადებითი ტენდენციები ჭარბობს. ეცადეთ, არ დაწვრილმანდეთ. **მშვილდოსანი** – თუ რამდენიმე საქმის ერთდროულად გაკეთებას შეეცდებით, შეცდომის დაშვების რისკი მოიმატებს. ნუ იაქტიურებთ. **თხის რქა** – უცნობ ადამიანებთან ურთიერთობას ერიდეთ. კონფლიქტური დღეა. ეცადეთ, ემოციებს არ აჰყვეთ. **მერწყული** – პლანეტები გმფარველობენ. საკუთარი ძალების ირწმუნეთ. **თევზები** – ნებისმიერ სფეროში წარმატება გელით. მთავარია, საქმე მშვიდად და აუჩქარებლად აკეთოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

სიტყვიჯი

1. აღმოსავლური ტკბილეული; 2. ვაგონის სამოძრაო ძელი; 3. ასო „რ“-ს სახელწოდება; 4. ქალაქი ვიეტნამში; 5. სუბტროპიკული კულტურა; 6. ... არტმანე; 7. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი; 8. გარიჟრაჟი; 9. ...-აბება; 10. მაღალი წიწვოვანი ხე; 11. იგივეა, რაც ოფისი; 12. შექსპირის ტრაგედია; 13. ასტრონომიის მფარველი მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 14. მწვერვალი სამხრეთ ამერიკის ანდებში; 15. რაიმე ადგილის თავდაპირველი მოსახლე; 16. კოლხი მედეას მამა; 17. ნაბიჯი ბალეტში; 18. რომის პაპის გვირგვინი; 19. პიკი ესპანეთში; 20. ცელქი, მოუსვენარი; 21. სასტუმროს მსახური ბიჭი; 22. პირი, რომელიც რომელიმე ქვეყნის, მხარის გაცნობის მიზნით მოგზაურობს; 23. უფლისწული ევროპის რიგ ქვეყნებში; 24. მდინარის თევზი; 25. იგივეა, რაც ავტომობილი; 26. ქამანდი; 27. ძვირფასი ქვა; 28. ხალხურ მოტივებზე შექმნილი ინსტრუმენტული ნაწარმოები; 29. ვარცხნილობის სტილი; 30. ჩვილის საკვები; 31. მოტორი; 32. მთავრობის მეთაური.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მელაძე; 2. ხუცური; 3. „ბალთაყვა“; 4. ალკოვი; 6. დეკალოგი; 8. „მილანი“; 11. კელასური; 12. ჯინჯილა; 16. „დელტა“; 17. კელია“; 18. კურსი.

თარაზულად: 1. მესხეთი; 5. განდი; 7. ფარღული; 9. ასტურია; 10. სორბონა; 13. ნარვალი; 14. „ბედეგი“; 15. მილი; 19. აჯამეთი; 20. პეკინესი; 21. „ნატახტარი“; 22. მირონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ოპიზარი; 2. „ამირანი“; 3. „ფიტომალი“; 4. მოპედი; 5. კარმენი; 8. ჩარდაში; 9. შორაპანი; 12. ბარტოლდი; 13. ანალგია; 16. „ბერიკები“; 17. ვივიენი; 19. „კახასა“; 20. მოხელე.

თარაზულად: 6. ოპტიმიზმი; 7. ხორბალი; 8. ჩხოუში; 10. იავნანა; 11. იედო; 14. კინტრიში; 15. „ბრასკუბა“; 18. დელონი; 21. აზიმოვი; 22. „ჰონდა“; 23. „ალკენი“; 24. ფილისტერი.

ნიკოლოზ წულუკიძე სიკვდილს გადაურჩა

თეატრმცოდნე და ტელეკომპანია „იმედის“ წამყვანი ნიკოლოზ წულუკიძე სიკვდილს გადაურჩა. ის გადაღებებზე გუდამაყარში კოლეგებთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც კლდიდან დაგორდა.

საავადმყოფოში გადაღებული ფოტო ნიკოლოზ წულუკიძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– გუდამაყრიდან ტრავმატოლოგიურამდე. გადავრჩი. ქართული თეატრის დღეს გილოცავთ.

ხევისბერთან ვიყავით გადაღებაზე გუდამაყარში, პირიმზის სალოცავში და ღამის ორ საათზე დავგორდი კლდიდან. ახლა კარგად ვარ.

ნინი ონიანი: „ვისაც არ გამოუცდია, ის ვერასოდეს გაიგებს, რა რთულია, იყო მარტოხელა დედა“

მოდელი და მსახიობი ნინი ონიანი თავის პატარა ბიჭს მარტო ზრდის. ქმართან განშორების შემდეგ მან სხეულის გამაჯანსაღებელი სტუდია გახსნა და დამოუკიდებლად ცხოვრებასა და მარტოხელა დედობას სწავლობს:

– ვისაც არ გამოუცდია, ის ვერასოდეს გაიგებს, რა რთულია, იყო მარტოხელა დედა, ათენებდე ღამეებს, დილით გამოუძინებელი და დაღლილი გარბოდე საქმეებზე, რომ შენს შვილს არაფერი მოაკლდეს! პარალელურად, ეცადო, დაალაგო შენი ცხოვრება, რომ შენი პრობლემები არ შეეხოს შენს შვილს. კვირობით იჯდე სახლში საღამოობით, რომ შენმა შვილმა არ იგრძნოს უშენობა....

უამრავი დაცემისა და გულისტკენის მიუხედავად, მაინც უნდა ადგე და განაგრძო ბრძოლა.. ეს შენს შვილს სჭირდება... არავინ იცის, რა რთულია ეს ყველაფერი, ვისაც არ გამოუცდია და ენები ჩაიგდეთ, რომ შემოგიხვევიათ კისერზე და არ აჩერებთ! პატარა ადამიანების დიდი ამბიციები და უსუსური ეგო... სასაცილოებო!

პაატა გულიაშვილის სახელობის ღვინო ჩამოასხეს

რუსთაველის თეატრის მსახიობსა და თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს პაატა გულიაშვილს სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს.

ხაოს მარანმა პაატას სახელობის ღვინო ჩამოასხა – საფერავისა და რქაწითელის ღვინოებს პაატას ფოტო ამშვენებს.

ინფორმაცია და ფოტოები თელავის თეატრმა გაავრცელა:

– პაატა გულიაშვილს ვულოცავთ მისი სახელობის ღვინის ჩამოსხმას! მიირთვით, სიკეთის სუფრა დაგებედოთ შობა-ახალ წელს!

ბოდბისხევის ყველაწმინდა რეაბილიტირებულია

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდთან ერთად სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბისხევის ყველაწმინდის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის რეაბილიტაცია განახორციელა.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად კრამიტის გადახურვა გადაეწყო კირის ხსნარზე, დაახლოებით 50% ახალი კრამიტის დამატებით.

მოხდა სამრეკლო-ფანჩატურის კეხის აღდგენა, დაახლოებით 30-35 სმ. სიმაღლეზე და დამონტაჟდა ლითონის ჯვარი.

ტაძრის გარე პერიმეტრზე მოეწყო 1,5 მეტრის სიგანის ქვაფენილის გარშემოსავლელი.

საპირე ქვებს შორის გამოსუფთავდა გამოქარული ადგილები და ამოილესა კირის ხსნარით.

გორის თეატრის მსახიობი მაია ტურაშვილი შიმშილობის დაწყებას აპირებს

გორის თეატრის მსახიობ მაია ტურაშვილს მეოთხე სტადიის სიმსივნე აქვს. მას საკმაოდ ძვირადღირებული წამლები სჭირდება, რისიც ყიდვაც მსახიობს არ შეუძლია. მაია ტურაშვილის დასახმარებლად გორის თეატრმა საქველმოქმედო სპექტაკლი ითამაშა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

მსახიობმა მერიას დახმარებისთვის მიმართა და, სამწუხაროდ, უარი მიიღო.

მაია ტურაშვილი:

– აი, ეს არის სასიკვდილო განაჩენი! მერიის მორიგი უარი დაფინანსებაზე, ანუ ჰერცეპტინის პროგრამაში ჩასმაზე ისევ უარი მივიღე. ესაა აწყობილი ქვეყანა! ქვეყანა, რომელიც იძულებულს ხდის თავის მოქალაქეებს, დატოვონ სამშობლო, გადაიხვეწონ უცხო მხარეში, რათა სიცოცხლე შეინარჩუნონ! ჯერ ის მინდა ვკითხო ბატონ სერგეენკოს, ბატონ კალაძესა და მთლიანად ამ უსამართლო სასიკვდილო განაჩენის მესვეურთ, თქვენ რომ დაგჭირდეთ ან თქვენიანებს ერთ მშვენიერ დღეს, როცა მაგ სკამებზე აღარ ისხდებით, მეოთხე სტადიის სიმსივნესთან შებრძოლება, დაელოდებოდით ერთი წელი მკურნალობის დაწყებას? ახლა იტყვით, კიო, რადგან ფულიც გაქვთ, თანამდებობაც და ძლიერებაც! მოვა დრო, რომ აღარ გექნებათ!

დატოვეთ სიკეთე და ნუ დატოვებთ საქართველოს ქართველების გარეშე! მე პირადად იძულებული ვარ, გავიქცე აქედან, რათა ჩემი შვილები არ დავაობლო! ბევრია ჩემისთანა... მაგრამ იმან რა ქნას, ვინც არ გაიქცევა და ხელს ჩაიქნევს?! ჯერ 8000-იანი წამლის 80% ფინანსდება. ამ უმუშევარ და უხელფასო ქვეყანაში ის 20%, რომელიც 1600 ლარია, თუ გიფიქრიათ, საიდან უნდა გადაიხადოს ხალხმა, თანაც 3 კვირაში ერთხელ?! ეს მხოლოდ ერთ პრეპარატზეა საუბარი! მე პირადად სამ კვირაში ერთხელ 12000 მჭირდება. მითხარით, საიდან მოვიტანო!

მთელი სიცოცხლე ვმუშაობ, მაგრამ 300 ლარს ვერ ავცდი. ეს ადამიანობაა საერთოდ?! თუ არ შეცვლით ამ საშინელ კანონს, რითაც ხალხი მათხოვრებად აქციეთ, მე პირადად მათხოვრად ვიქეცი, ზოგი გააქციეთ ქვეყნიდან იმის გამო, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს, მე პირადად გამოვაცხადებ უვადო შიმშილობას; დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი შემომიერთდება!

მკვლელობა მარტო ის არაა, იარაღი ესროლო ადამიანებს.... ეს უარესია, ჯერ თავმოყვარეობა წაართვა, მათხოვრად გადააქციო და შემდეგ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანო! ნუთუ მაგ პარლამენტშიც ყველა სკამის მანიაკები ხართ! რატომ არ იღებთ ხმას ამ მკვლელ კანონზე! რატომ არ აფინანსებთ დანარჩენი საქართველოს მეოთხე სტადიის სიმსივნიანებს! „მაინც განწირულებად თვლით, ხო“, მაგრამ არავინ იცის, ჯერ ვინ წავა! რომელ ტერორისტებს ებრძვით, ეს ტერორიზმი არაა?! ეს სწორედაც რომ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგაა ტერორიზმი!

იცოდეთ, ცხოვრება სიურპრიზებითაა სავსე და არავინ იცის, რა იქნება ხვალ! ამიტომ შეცვალეთ ეს მკვლელი კანონი და მიეცით ხალხს წამალი, რათა ერთ მშვენიერ დღეს თქვენივე დაგებულ მახეში თქვენვე ან თქვენი საყვარელი ადამიანები არ აღმოჩნდეთ! უფალი სამართლიანია, თან ძალიან გეშინოდეთ მისგან მოვლენილი სამართლიანი რისხვის! დიდება უფალს, რომ ის მაინც არ ტოვებს თქვენგან გაწირულ ხალხს! ვიმეორებ, არსად არ წავალ და აუცილებლად მივმართავ პროტესტის უკიდურეს ზომას, თუ არ შეცვლით ამ საშინელ მკვლელ კანონს: 1. არ დააფინანსებთ რაიონების მეოთხე სტადიის სიმსივნით დაავადებულებს! 2. არ გააუქმებთ იმ წყეულ ერთ წელიწადს თბილისში ჩაწერის, რომ ადამიანი მოხვდეს ჰერცეპტინის პროგრამაში! 3. დაფინანსება ჩვენ ქვეყანაში წამლის 100% უნდა იყოს, რადგან მათხოვრული ხელფასები გვაქვს! ამიტომ 80%-ის ნაცვლად დააფინანსეთ 100%. ვის რაში სჭირდება თქვენი 3-მილიონიანი ბრჭყვიალა განათება! ხალხს პური და წამალი არ აქვს!

პანტომიმის თეატრი დაზიანდა

მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში სადღესასწაულო განწყობაა, პანტომიმის თეატრის მესვეურებს სულაც არ აქვს სადღესასწაულო განწყობა.

ქართული თეატრის დღეს მათ თეატრის უზარმაზარი შუშა ჩამსხვრეული დახვდათ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც პანტომიმის თეატრი დაზიანებულია. თეატრი არაერთხელ გაქურდეს და მინებიც ჩაუმსხვრიეს.

ამირან შალიკაშვილი უმცროსი, პანტომიმის თეატრის დირექტორი:

– ასე გვილოცავენ უკვე მესამედ თეატრის დღეს, მაგრამ ჩვენ მაინც 20 იანვარს გეპატიჟებით სპექტაკლზე „ნატვრის ხე“. მოდით და ააშენეთ თეატრი თქვენი ხელით.

თიკა ბალანჩინი და მისი ჯგუფი კონცერტის ორგანიზატორებმა „გადააგდეს“

მომღერალი თიკა ბალანჩინი და მისი ჯგუფი „ნიუვან“ კონცერტის ორგანიზატორებმა „გადააგდეს“ და მუშაობის საფასური – ჰონორარი არ გადაუხადეს.

ინფორმაცია ჯგუფის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა:

– ყოველთვის თავს ვიკავებთ მსგავსი განცხადებებისგან, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ვფიქრობთ, რომ საზოგადოებამ უნდა გაიგოს, თუ როგორი თაღლითური ხერხებით მუშაობს ივენთ კომპანია სახელად ივენტ2.გე.

აღნიშნული კომპანია და მისი ხელმძღვანელობა ქეთი ლორთქიფანიძე და დირექტორი თეონა ნემსიწვერიძე უხეშად არღვევენ მოლაპარაკების პირობებს და 31 დეკემბრის საღამოს კონტრაქტით გათვალისწინებულ გადასახადს თავს არიდებენ სახსრების არქონის მომიზეზებით.

მიუხედავად ჩვენი არაერთი მცდელობისა, რომ რამენაირად აგვერიდებინა ეს არასასიამოვნო პროცესი, დღემდე ყოველდღიური ტყუილებით მოვედით. იყო შეხვედრები, სადაც გვთხოვეს, რამდენიმე დღე გვეცლია, მაგრამ ასეთი პირობებიც რამდენიმეჯერ არ შესრულდა და პასუხად მივიღეთ ის, რომ მუსიკოსებისთვის ყველაზე მთავარ სამუშაო დღეს, რომელსაც ყველა არტისტი ელოდება, „გადაგვაგდეს“.

გვინდა, ეს ხალხი საჯაროდ ვამხილოთ, რომ მსგავსი რამ სხვასაც არ გაუკეთონ. უახლოეს მომავალში მათ აქვთ ივენთი და არ გაგვიკვირდება, თუ იმავე ხერხებით იმოქმედებენ.

ჯგუფის ოფიციალურ განცხადებას გამოეხმაურა მომღერალი თიკა ბალანჩინი:

– დავამატებ კიდევ ერთ პიროვნებას, რამაზ ჩიჩუას, ერთ-ერთი ორგანიზატორის ნათლიას, რომელიც უხეშად ჩარიეს ამ საქმეში და გვთხოვდა თანხის ჩუქებას ზაფხულამდე. რატომ აძლევთ უფლებას ასეთ გამოუცდელ, უვიც ხალხს, შექმნან კომპანიები, დაარეგისტრირონ შპს და იმუშაონ ხალხის გადაგდებაზე. ვინაა პასუხისმგებელი?! ამ არასერიოზული ხალხის გამო ძალიან ბევრ კომპანიას ვუთხარით უარი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი 15 იანვარი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენბრო ვეგრინე**" **10.00, 02.36** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15** მხ/ფ "**მილიონგირვანქიანი ბანკნოტი**" (გ.პეკი) **13.38** დოკ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **14.10** დოკ/ფ "ავტოდახმარება" **15.30** დოკ/ფ **16.30,** ტ/სერ. "**ბრიუმფი**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.15** ტ/სერ. "**ომი და მშვიდობა**" **23.15** მხ/ფ "**რიკი და ფლეში**" (კ.კლაინი) **00.56** მხ/ფ "**რა მოხდა ღინა ღამეს**" **03.39** მხ/ფ "**პერსონაჟი**"

06.30 სერ. "**დარჩი ჩემთან**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00,** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40, 16.00** სერ. "**ბუუილი**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **18.50, 19.03** სერ. "**დარჩი ჩემთან**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **23.00** სერ. "**დიდი შესვენება**" **23.30** სერ. "**სიყვარულისთვის**" **1** სერ. **01.00** მხ/ფ "**ბრანზიტი**" **02.40** მხ/ფ "**მომკალი სამჯერ**" **04.40** მხ/ფ "**ჩემი ძმაკაცის შეყვარებული**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**ოთხი ისტორია**" - დაწყება **22.00** ჩემი სამზარეულოს წესები **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

tv პირველი **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00,** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00** ლევან ჩხაიძის დღის ამბები **15.00,** საქმის კურსი **16.00** ლევან ჩხაიძის დღის ამბები **17.50, 20.00 0.00, 1.00,** მხ/ფ **22.30** საქმის კურსი **23.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **23.30** სერ. "**დაბალული სიმართლე**"

GDS **08.00** ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" **12.00, 21.00** სერ. "**ელ პრინსიპე**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 7**" **17.00** სერ. "**ჟუანტიკო**" **19.00** სერ. "**ჯაუუში 2**" **22.30** მხ/ფ "**სიმართლის მიღმა**" **00.45** მხ/ფ "**შვიდი**" **03.00** მხ/ფ "**ეშმაკის ადვოკატი**" **05.30** მხ/ფ "**საწის გარეშე**"

იბერია **08.00** ანანდა **08.10** სისი **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40** ახალი ამბები **11.40** ანიმაცია **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიათან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.00** ფაბრიკა **19.55** მე რომ ვიყო **20.00** დე ფაქტო **21.00** სერ. "**პირადი საქმე**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** პანორამა **00.00** მხ/ფ **01.30** მოდი გავეყაროთ **3.00** კონცერტი

06.10 დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** ეთნოგრაფიული ჩანახატები - ქართული ბუხარი **07.00** დ/ფ "ლადო ასათიანი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** საგალობელი **08.30** "განთიადი" **10.00** ფოტოგალერეა **10.05** ისტორიის დღიური **09.30** დ/ფ "დედაო ღვთისა" **11.00** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ლომა**" **13.15** კონცერტი - ავტოგრაფი - ნოდარ ნიკოლაიშვილი **14.20** დ/ფ "ბილიკების ენა" **15.05** სპექტაკლი "**დარაბებს მიღმა გაზაფხულია**" **16.40** კონცერტი - ნუნუ დუღაშვილი **18.15** დ/ფ "ლელოს შემობრუნება" **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.25** "განთიადი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.30** მოკ. მხ/ფ "**ბაკურციხელი ხევსური**" **22.20** ფოტოგალერეა **22.25** დ/ფ "წმინდა სერაფიმე საროველის სავანეში" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ლაზი ვორე, ლაზი ქართველი ჭანი" **00.15** მხ/ფ "**ქალაქი ანარა**" **01.40** კონცერტი -პლაჩიდო დომინგო (პრაღა) **03.15** მხ/ფ "**შესანიშნავი შვიდეული**" **05.25** დ/ფ "ფერეიდნელი გურჯები"

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

15 იანვრისთვის

- აშშ დოლარი — 2.5616
- ევრო — 3.1049
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4881
- 100 რუსული რუბლი — 4.5303

ამინდის პროგნოზი 15 იანვრისთვის

28 დეკემბრიდან

ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოც ბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას, ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი



9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ძაღლმა კატები პითონისგან გადაარჩინა

ტაილანდის პროვინცია ანგტხონგში ძაღლმა ხუთმეტრიანი პითონი გააგდო, რომელიც კატებს საფრთხეს უქმნიდა.

ძაღლის პატრონმა შენიშნა, რომ ეზოში ძაღლი ყეფით



დარბოდა ხის გარშემო. გაირკვა, რომ მისი ყურადღება მიიპყრო ხუთმეტრიანმა გველმა, რომელიც ტოტებში იმალებოდა. ძაღლს დინგზე ახალი ნაიარევები ეტყობოდა, რომლებიც, სავარაუდოდ, ქვეწარმავალთან შეტაკების შედეგი იყო.

ქალს სახლში 10-ზე მეტი კატა ჰყავს და მისი ვარაუდით, გველი სწორედ მათზე ნადირობდა. მისი მტკიცებით, წარსულში მან ოთხჯერ შენიშნა პითონები საკუთარი სახლის სიახლოვეს. ერთ-ერთმა მათგანმა კატის დაჭერა შეძლო, მაგრამ მაშინ ქალმა და მისმა ბოიფრენდმა შინაური ცხოველის გადარჩენა შეძლეს.

ხუთმეტრიანი პითონის თავდასხმის შემდეგ ქალის ერთ-ერთი კატა დაიკარგა. სავარაუდოდ, გველმა მისი გადაყლაპვა ძაღლის გამოჩენამდე მოასწრო.

შვეიცარიის ხელისუფლებამ კიბორჩხალებს ღირსეული სიკვდილის უფლება მისცა

შვეიცარიის ხელისუფლებამ ცოცხალი ომარების მდუღარე წყალში მოხარშვა აკრძალა. ამაზე საუბარია 10 იანვარს ქვეყნის ფედერალურ საბჭოზე მიღებულ ვეტერინარიის სფეროში შეტანილ შესწორებაში.

ამიერიდან, კიბოები, მათ შორის ომარები, არ უნდა გადაიტანონ ყინულში ან ყინულიან წყალში მოთავსებულები, ხოლო ქვაბში ჩაშვებამდე უნდა მოხდეს მათი გათიშვა.

ამავე შესწორებით რეგულირდება ცხოველების ევთანაზია, რომელთა მკურნალობა უიმედოდ იქნა მიჩნეული, ან მას დიდ ტკივილს მიაყენებს. კერძოდ ნათქვამია, რომ მათი მოკვლა „პროფესიონალურად“ უნდა განხორციელდეს.

გარდა ამისა, შვეიცარიაში ყურადღება მიაქციეს ძაღლის უფლებას, იყეფოს.

– აკრძალულია ისეთი მოწყობილობის გამოყენება, რომელიც ავტომატურად ირთვება ყეფის დროს, მიუხედავად მიზეზისა, – ნათქვამია ქვეყნის ხელისუფლების დადგენილებაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

...

სახლში დაბრუნებული ქმარი ცოლს ეკითხება:

– დღეს ჭამე რამე?

– მაწონი ითვლება?

– კი.

– მაშინ... ბუტერბროდები, ქათამი, ნამცხვარი, შემწვარი კარტოფილი კატლეტით, კამფეტები, ფუნთუშები და მაწონი.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ინტერნეტით თვეში 10000 ლარს ვშოულობ.

– ოჰო! მომიყევი, როგორ?

– 100 ლარი მომეცი და გეტყვი.

– აჰა, გამომართვი...

– აი ასე!

•••

გოგონა ავტობუსით მგზავრობს და მუხლებზე კატა უზის. მის მოპირდაპირე მხარეს მჯდომმა მამაკაცმა უყურა, უყურა და ბოლოს ეუბნება:

– სიამოვნებით გავუცვლიდი ადგილს მაგ კატას.

– არა მგონია! ვეტერინართან მიმყავს დასაკოდად.

•••

ნაცემი ბავშვის დედა მეზობელს მიადგა და განრისხებული ეკითხება:

– რატომ სცემე ჩემ შვილს?

– მეუზრდელა და იმიტომ.

– მაინც რა გითხრა?

– გასიებული ძროხა მიწოდა.

– და რა, რომ სცემე, გახდი?

•••

ბიჭი კომპიუტერს არ ეშვება, საათობით ინტერნეტშია. სხვა არაფერი აინტერესებს. ბოლოს მშობლებს მობეზრდათ და ექიმი გამოიძახეს. ექიმმა გასინჯა და მშობლებს ეუბნება:

– უნდა ვუმკურნალოთ.

– რითი?

– სიგარეტით, სასმელით, გოგონებით...

•••

კაცმა ქუჩაში ქალის გაცნობა გადაწყვიტა და ეუბნება:

– როგორ ახალგაზრდულად და სიმპათიურად გამოიყურებით.

– სამწუხაროდ, თქვენზე იგივეს თქმა არ შემიძლია, – პასუხობს ქალი.

– თქვენც ისევე გეთქვათ ტყუილი ჩემთვის, როგორც მე გითხარით...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

16 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

„მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

19 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი



შავი ვარდი

ქართული დეტექტივი ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

23 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი



საზღაური

ქართული დეტექტივი ტომი 3

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

26 იანვრიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი, ტომი 4

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

30 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ქართული დეტექტივი, ტომი 5

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ოსკაროსანი შენგელია

ზაზა ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა 2 მატჩი გამართეს და ორივე მოიგეს. ოკლენდელები ჯერ ზაზას ყოფილ გუნდ მილუოკის შეხვდნენ და მის დამარცხებაში თავისი წილი ქართველმა კალათბურთელმაც დაიდო.

ნბა-ს ჩემპიონ გოლდენ სტეიტს მილუოკიში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, თუმცა ბოლო პერიოდი ოკლენდელებმა 28:12 მოიგეს და 14 ქულით – 108:94 იმარჯვეს.

ქართველი ცენტრი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე მოზომილად გამოყოფილი 14 წუთი გაატარა. ფაჩულიამ 5-დან 4 ორქულიანი ჩააგდო და 8 ქულასთან ერთად 3 მოხსნა და 1 პასიც მიითვალა.

გოლდენ სტეიტ უორიორსმა ტორონტოშიც დიდი ბრძოლა გადაიტანა. არადა, ოკლენდელები აუღელვებლად იგებდნენ – პირველი ტაიმის შემდეგ სტუმრები 81:54 დაწინაურდნენ და შეხვედრის ბედიც გადაწყვეტილი ჩანდა, თუმცა ტორონტოელები არ დანებდნენ და დემარ დეროზანის წინამძღოლობით ჩამორჩენა ჯერ შეკვეცეს, ბოლო პერიოდში კი სტუმრებს სულაც გაუთანაბრდნენ. მატჩის ბედი ბოლო წამებზე კევინ დიურანტისა და სტეფ კარის ქულებმა გადაწყვიტა და გოლდენ სტეიტმა 127:125 იმარჯვა.

ზაზა ფაჩულიამ სასტარტო ხუთეულში თუმცა მხოლოდ 12 წუთი ითამაშა, ქართველმა ცენტრმა 4-დან 3 ორქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 6 ქულით, 2 პასითა და 1 მოხსნით დაასრულა.

35 ქულითა და 9 მარცხით გოლდენ სტეიტი ნბა-ში საუკეთესო შედეგს ფლობს. შემდეგი მატჩი ოკლენდელებს შარშანდელ ფინალისტ კლივლენდთან სტუმრად ელით.

დეკემბერში ნაჩვენები გამორჩეული შედეგების გამო თორნიკე შენგელია ევროლიგის „ოსკარით“ დააჯილდოვეს. რეალურად კი ეს გახლავთ ევროლიგის ერთ-ერთი სპონსორის – „ოსკარ მეიერის“ მიერ დაწესებული ჯილდო გამორჩეული მოთამაშეებისთვის და სწორედ მისი მფლობელი გახდა თორნიკე შენგელია.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ჯვოსვოიდი ა



თარაზულად: 6. შინაური ფრინველი; 7. მოუჭიქავი ფაიფური; 8. ზანდუკი; 10. ქალაქის მუნიციპალიტეტი; 11. სახელმწიფო აზიაში; 13. ფეხსახსროვანი ცხოველების მუცელი; 16. მოსკოვის სიმბოლო; 19. აქტებშორისი შესვენება თეატრში; 20. მექანიკის ნაწილი.

შვეულად: 1. ქედი და ხეობა ახმეტის რაიონში; 2. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 3. პირადული ხასიათის შემტევი გესლიანი სიტყვა; 4. ზღვის მტაცებელი ცხოველი; 5. წყლის ჭავლი, გემი რომ ტოვებს; 9. ყველასათვის სავალდებულო წესი; 12. მთავარი სისხლძარღვი; 14. გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი (XIX ს.); 15. უუფლებო ადამიანი; 17. წნელის ბრტყელი წნული; 18. სულხან-... ორბელიანი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ